წლიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—3—81.

შაბათი, 23 აპრილი 1932 წ. № 95 (3349)

დამკვრელი ტემპებით გავუსწროთ გაზაფხულის თესვას

ბრძოლა 28.000 ჰექტარი ბამბისათვის

1-ლი მაისის ჩატარების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნოს 22 აპრილის დადგენილება

პროლეტარულ დღესასწაულს პირველ მაისს—საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დემონსტრაციისა და კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის ლენინური კომუნისტური ინტერნაციონალის დროშით მებრძოლ საერთაშორისო პროლეტარიატის ძალთა საბრძოლო დათვალიერების დღეს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელები წელს ხვდებიან საბჭოთა კავშირში გაშლილი სოციალისტური მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებისა და კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარე უმაგალითო მსოფლიო კრიზისის პირობებში. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) და პარტიისა და საერთაშორისო პროლეტარიატის ნაცადი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით 1931 წელს ააშენა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი, იგი წარმატებით ამთავრებს 1932 წელს პირველ ბოლშევიკურ ხუთწლიან გეგმას 4 წელიწადში და იწყებს კიდევ უფრო დიდი ამოცანების განხორციელებას—უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებას მეორე ხუთწლედში.

სოციალისტური მშენებლობის ამ წარმატებებს ჩვენმა პარტიამ მიაღწია მუშათა კლასის ფართო პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის საფუძველზე, ბურჟუაზიის მოწინავე რაზმთან კონტრ-რევოლიუციონურ ტროცკიზმთან, მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმთან და მათდამი შემარიგებლობასთან, დიდმპყრობელურ შოვინიზმთან და ადგილობრივ ნაციონალიზმთან გადამწყვეტი და შეურიგებელი ბრძოლით, პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლით.

სოციალიზმის უდიდესმა გამარჯვებამ საბჭოთა კავშირში, უმუშევრობის ლიკვიდაციამ იმ დროს, როცა ევროპასა და ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვი 25 მილიონს აღემატება და როცა ბურჟუაზიამ ათეული მილიონი მშრომელები სილატაკისა და შიმშილის უფსკრულში ჩაძირა, გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის წარმატებამ საბჭოთა კავშირში კაპიტალისტური ქაოსისაგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტლივ ამაღლებამ და ნაციონალური საკითხის ლენინურმა გადაჭრამ მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი საერთაშორისო პროლეტარიატისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა თვალში. ძირმომპალ კაპიტალიზმის ქვეყნებში კრიზისის სულ უფრო და უფრო გამწვავების, საბჭოთა კავშირის უმაგალითო სწრაფი სოციალისტური ზრდის და საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის მძლავრი განვითარების პირობებში ბურჟუაზია, რომელსაც ღრღნის კაპიტალისტური წინააღმდეგობანი, ახალი იმპერიალისტური ომებით და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მომზადებით ცდილობს თავი დააღწიოს მსოფლიო კრიზისს.

გაბატონებული იმპერიალისტური წრეები არასოდეს ისე გაფაციცებით არ ემზადებოდნენ საბჭოთა ქვეყანაზე თავდასხმისათვის, როგორც ეხლა, რასაც მოწმობს შორეულ აღმოსავლეთის ამბები და იაპონიის აგენტების—რუს თეთრგვარდიელების პროვოკაციული გამოსვლები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე. მათი სულის ჩამდგმელია იაპონიის იმპერიალიზმი, რომელიც ისახავს გარკვეულ მიზანს—გადააქციოს მის მიერ დაპყრობილი მანჯურია შემდგომი ავანტიურების კერად საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

ჩვენს ქვეყანაზე იმპერიალისტების თავდასხმის საფრთხის გაძლიერების გამო, მშვიდობიანობის საბჭოთა პოლიტიკის შემდეგშიაც მტკიცედ და განუხრელად გატარებასთან ერთად, არაჩვეულებრივად უნდა გავაძლიეროთ კლასობრივი სიფხიზლე და ენერგია საბჭოთა კავშირის დაცვის მომზადებისათვის, თბილისის მუშებმა—საქართველოს პროლეტარიატის მოწინავე რაზმმა—გვიჩვენეს საბჭოთა კავშირის დასაცავად პროლეტარული მზადყოფნის მაგალითი: ინტერვენციის ხელისშემწყობთა პროვოკაციულ გამოსვლებს მათ უპასუხეს დადგენილებით—იმუშაონ 30 აპრილს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. მზადება პირველი მაისისა და სოცშეჯიბრების მესამე წლის თავის აღსანიშნავად ჩატარდეს საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დემონსტრაციის და მუშათა, კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მობილიზაციის ნიშნით, კომინტერნის დროშის ქვეშ ბრძოლის გასაჩაღებლად ომის საფრთხის წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის შემდგომი განმტკიცებისათვის, წითელი არმიის საბრძოლო უნარის და თავდაცვა-ავიაქიმის რიგების გაძლიერებისათვის, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშრომელთა სამხედრო მომზადების საქმეში, ხუთწლედის მე-4 დამამთავრებელი წლის გეგმების შესრულებისათვის მრეწველობის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის დარგში, 1-ლი კვარტალის ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით დამთავრებისათვის ამხ. სტალინის 6 მითითების რეალიზაციის საფუძველზე და მეორე ხუთწლედისათვის მოსამზადებლად, გაიშალოს შეურიგებელი და ულმობელი ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის ყველა მტრებისა და ბურჟუაზიის მოწინავე რაზმის—კონტრ-რევოლიუციონური მენშევიზმის და ტროცკიზმის წინააღმდეგ, მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც ეხლანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხის, „მემარცხენე" ოპორტუნიზმის და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, ტროცკისტული კონტრაბანდის და ნაციონალურ საკითხში „მცოცავი" გადახრების წინააღმდეგ, მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის.

2. საწარმოებში საამქროებში, ბრიგადებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სამ მანქანო - სატრაქტორო სადგურებში 25 აპრილიდან 1-ლ მაისამდე ჩატარდეს სახელდახელო მიტინგები, მოხდეს მუშებისა და მუშა - ქალების მასების პოლიტიკური აქტივობის მობილიზაცია მე-2 კვარტალის გეგმების შესრულებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების მე-3 წლისთავის სახელობის ახალი სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების მოწყობით, შემხვედრი და ცვლათა შემხვედრი გეგმების და საზოგადოებრივი ბუქსირის გაშლით და სხვ., გაჩაღდეს ბოლშევიკური ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, სათბობის, ნედლეულის და მასალის ეკონომიისათვის, შინაგანი რესურსების მობილიზაციისა და ტეხნიკის დაუფლებისათვის.

3. მობილიზებულ იქნას კოლმეურნეთა, კოლმეურნე ქალთა, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების მუშათა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების პოლიტიკური აქტივობა კოლმეურნეთა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, ტეხნიკური კულტურების (ჩაი, თამბაქო, ბამბა, ციტრუსოვანი ნარგავები, ვენახები) გეგმის შესრულებისათვის, აგროზოოღონისძიებათა თავის დროზე გატარებისათვის სოფლის მეურნეობაში, დამუშავების და მოსავლის აღების კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

4. მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისა და პირველი მაისის დღესასწაულის ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის, კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტებთან შეიქმნას კომისიები პარტიულ, პროფესიონალურ, კომკავშირულ, საბჭოთა, სამხედრო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

5. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო კომიტეტებმა, თბილისის კომიტეტმა, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებმა კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს პროფსაბჭომ, რესპუბლიკანური და რაიონული გაზეთების რედაქციებმა, ცეკავშირმა, სატრაქტორო ცენტრმა, კოლმეურნეობათა ცენტრმა, ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა, საქართველოს განათლების სახ. კომისარიატმა, სახელგამმა, სახკინმრეწვმა, რადიოცენტრმა და ყველა სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გაშალონ მოსამზადებელი მუშაობა პროლეტარული დღესასწაულის ჩასატარებლად.

6. 1-ლ მაისს დღეს ქალაქად და სოფლად ჩატარდეს მშრომელთა ფართო დემონსტრაციები და დემონსტრაციებს მიეცეს დარაზმული და მასიური ხასიათი.

7. 1-ლ მაისს საღამოს კლუბებში, თეატრებში, წითელ კუთხეებში ჩატარდეს წარმოდგენები, კონცერტები, კინო და სხვ.

8. 1-ლ მაისს დაუკავშირდეს კულტურულ - საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა — მუშათა სასადილოების, კლუბების, საბავშვო ბაგების, სოფლის სამკითხველოების, ბიბლიოთეკების, გამოფენების და სხ. გახსნა, აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების გამოშვება.

9. პროფორგანიზაციებმა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში 2 მაისს მოაწყონ მაისობა, კულტურული გართობა, სასპორტო გამოსვლები, ველო-მოტო-გადარბენები, შეჯიბრება სროლაში და სხვ.

10. წინადადება მიეცეს ცეკავშირს, საქვაჭრობას და საქართველოს და თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტებს უზრუნველყონ მაისობის ადგილებში ბუფეტების, ფარდულების და სხვ. მოწყობა.

11. საქართველოს პროფსაბჭოს საშეფო ბიურომ 25 აპრილიდან 1-ლ მაისამდე მოაწყოს ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების შეფორგანიზაციების გასვლა საშეფო რაიონებსა და სოფლებში დახმარების გასაწევად პირველი მაისის ჩატარებაში სოფლად.

12. ვინაიდან ცოტა დრო დარჩა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის [illegible], მოწონებულ იქნას მთელ რიგ რაიონების ინიციატივა, რომ 2 მაისს მოეწყოს კოლმეურნეთა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების მუშათა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასიური გასვლა მინდვრებზე. ამავე დროს 2 მაისს რაიონებში მოეწყოს შაბათობა პროფკავშირების წევრების, მათი ოჯახების და სხვათა ფართო მონაწილეობით ჩამორჩენილ კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლებისათვის დახმარების გასაწევად.

ბორჩალოს რაიონი შემოწმებაზე

მიტინგი მინდორში

„კომუნისტი"-ს ბრიგადებისაგან

ბამბის ველებისაკენ

20 აპრილი. უკვე მეოთხე დღეა, რაც ჩვენ, გაზ. „კომუნისტი"-ს ბრიგადირები, ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობების მუშაობას ვიკვლევთ. გავეცანით 8 კოლმეურნეობის მუშაობას. შუადღის 2 საათია, მივდივართ სოფ. კირმიზიქენდისკენ, რომელიც რაიონის ცენტრიდან 12-14 კილომეტრით არის დაშორებული. თან გვახლავს რაიკოლმეურნკავშირის ინსტრუქტორი მესხიძე, იგი საკმაოდ იცნობს რაიონის კოლმეურნეობებს.

რაიონის მთელი მოსახლეობა და ყველა ორგანიზაციები ფეხზე დგას და გაფაციცებით მუშაობს. - დაწყებულია ბამბის თესვა. რაიონის გაშლილ ველებს შესევიან კოლმეურნეები, ღარიბი და საშუალო გლეხები. ერთ კილომეტრსაც კი ვერ გაივლი, რომ არ შეგხვდეთ ტრაქტორების კოლონები და გუთნები. ისინი ხნავენ და აფხვიერებენ მიწას ბამბის დასათესად.

საბამბე მიწების მოხვნა რაიონში დაგვიანდა. ეს საქმე 10 აპრილისათვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დღემდისთვის მოხნულია მხოლოდ გეგმის 67 პროცენტი. გეგმის თანახმად ეხლა მთელი ძალები ბამბის თესვაზე უნდა იყოს გადასული.

ამ ჩამორჩენას გრძნობს ყოველი მებამბე - კოლმეურნე გლეხი და რაიონის მუშაკი. ყველა გაათკეცებული ენერგიით მუშაობს, რომ ჩამორჩენა გამოასწორონ და ბამბის თესვა ვადაზე დაამთავრონ.

სათბურებში

—ბამბა მეტად სათუთი კულტურაა, და მთელი წლის განმავლობაში შეუწყვეტელ მზრუნველობას მოითხოვს— გვეუბნება ჩვენი თანამგზავრი.

—გათავდება თუ არა ბამბის აკრეფა, დაიწყება მიწის მზრალად მოხვნა. ამას თან მოსდევს საზამთრო არატი, აქედანვე იწყება სარწყავი არხების შეკეთება და გაწმენდა, ხოლო ვინაიდან ჩვენ ბევრი ახალი საბამბე მიწა გვაქვს, რომელიც მორწყვის გარეშე მოუსავლიანია, ამავე პერიოდში სწარმოებს ახალი არხების გაყვანა. ზამთარშივე უნდა შეკეთდეს მანქანა-იარაღები.

გათავდება თუ არა ბამბის ნათესების დამუშავება, უნდა შეკეთდეს გზები და ბოგირები. სწორედ ამ დროს ისვენებენ ბამბის კულტურაზე მომუშავე მოსახლეობა ცოტა ხნით. შემდეგ იწყება არა ნაკლებ „ცხელი" მუშაობა—ბამბის აკრეფა, რომელიც 2-3, ზოგჯერ ოთხ თვესა და შუა ზამთრამდე გრძელდება.

—სამაგიეროთ ეს კულტურა მეტად ძვირფასი და აუცილებელია საფეიქრო მრეწველობისათვის და მოსახლეობასაც დიდ სარგებელს აძლევს —ვუპასუხებთ ჩვენ.

მივუახლოვდით სოფ. კირმიზიქენდს. სოფლის დასავლეთ ნაწილზე მოწყობილია სათბურები.

მივედით სათბურებთან, მივესალმეთ დამხდურებს და დავუწყეთ თვალიერება სათბურებში გაშლილ ბამბას. აქ არის ბამბის გადასარგავი კულტურა. სათბურები გადამწვანებულია ბამბის ჩითილებით. მცენარის სიმაღლე სათბურებში 4 ვერშოკამდე აღწევს.

ეს სათბურები ეკუთვნის სოფ. კირმიზიქენდის კოლმეურნეობას. ორ დღეში შეუდგებიან მის გადარგვას. სათბურებში გამოყვანილია ჩითილები 2 ჰექტარი ნაკვეთისათვის.

—ჩითილების დასარგავ მიწის მომზადებას დღეს ვამთავრებთ—გვიამბობს სათბურის მომვლელი და მიგვითითა მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც ორი ფარცხი მუშაობდა. ცოტა მოშორებით ამავე კოლმეურნეობის სამი გუთნეული ხნავს ახალ საბამბე მიწას.

ჩვენმა საუბარმა დამხვედრთან თითქმის ერთ საათს გასტანა. შებინდდა. გუთნებმა შესწყვიტეს მუშაობა. გუთნეულები სოფლისაკენ მიეშურებიან. გუთნეულებსა და ფარცხებზე მომუშავე კოლმეურნეებმა თავი მოიყარეს სათბურებთან.

აქვე მოიყარეს თავი დანარჩენმა კოლმეურნეებმა, რომლებიც სხვა და სხვა სამუშაოებზე იყვნენ გაგზავნილი გამგეობის მიერ. შემოგვიერთდნენ ამავე სოფლის ინდივიდუალური მეურნე გლეხებიც. ყველას აინტერესებს სათბურებში გამოყვანილი ბამბის ჩითილების მდგომარეობა.

მიტინგზე მინდვრად

ჩვენ მოუწონეთ ნამუშევარი კოლმეურნეებს და ვთხოვეთ მათ გაეცნოთ ჩვენთვის, თუ როგორ ჩაატარეს მოსამზადებელი მუშაობა რამდენად არიან მზად საგაზაფხულო თესვისათვის, რა მიღწევებით ხვდებიან მესამე ბოლშევიკურ გაზაფხულს და რა უნარით ხელს მუშაობაში.

ხელდახელ მოეწყო მფრინავი მიტინგი. საინფორმაციო მოხსენებას აკეთებს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. არშენაკ სარქისოვი.

— საბამბე მიწები ჩვენ მთლიანად მოხნული გვაქვს,— განაცხადა მან. ამ მიწების მეტი ნაწილი გადავხანით კიდეც. გადასახნავი დაგვრჩა ათიოდე ჰექტარი, რომელიც სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა უნდა გადაგვიხნას ხელშეკრულების თანახმად. ბამბის თესვას შევუდექით 17 აპრილს და უკვე დათესილი გვაქვს 2 ჰექტარი. განზრახული გვაქვს ბამბა სხვა და სხვა დროს დავთესოთ და თესვა 10 მაისამდე გავაგრძელოთ, რომ ამრიგად, ბამბა თანდათანობით ამოვიდეს და მოვასწროთ თანდათანობით და დროზე დამუშავება.

თესვაში ხელი გვეშლება, ვინაიდან საქონლის საკვების უქონლობის გამო იძულებული ვართ მუშა-საქონლის საძოვარზე გამოვკვებოთ, რის გამოც გვეცდება დრო. ბამბა უნდა დავთესოთ სულ 40 ჰექტარზე. გარდა ამისა დათესილი გვაქვს ხორბალი, იონჯა და სიმინდი 45 ჰექტარზე. ამჟამად ვაწარმოებთ ამ ნათესების მორწყვას და ვამზადებთ ნიადაგს ბოსტნისათვის. სარწყავი არხები გაწმენდილია. გაწმენდილი გვაქვს აგრეთვე ბამბის სათესლე მასალა. შეკეთებულია ყველა მანქანა-იარაღები და მთელი ინვენტარი.

შემდეგ ლაპარაკობს ბრიგადირი არამ საკოვი.

—ჩემს ბრიგადას გამოყოფილი აქვს დანარჩენ ბრიგადებთან თანაბარი ნაკვეთები. სულ დავალებული მაქვს 20 ჰექტარი ბამბის დამუშავება. აქედან 9 ჰექტარი მოუხნავია. სიმინდი ადრე დავთესეთ, რომ მან ხელი არ შეუშალოს ბამბას. ბამბის პირველი ჰექტარი დავთესეთ 17 აპრილს. თუ სატრაქტორო სადგური არ დამეხმარა, დავალების შესრულება გამიჭირდება.

შრომის დისციპლინა და შრომის ნაყოფიერების დაინტერესება წელს დიდია. გასულ წელს ხვეწნით და მუდარით გვიხდებოდა კოლმეურნეების გაყვანა სამუშაოდ. წელს კი ამას ადგილი აღარ აქვს, კოლმეურნეები თვითონ მოითხოვენ სამუშაოზე გაშვებას.

უხეირო ხელმძღვანელობის შედეგი

ბრიგადირ რუსტამის, კოლმეურნეების და მიმაგრებულ ამხ. გრიგორიანის სიტყვებიდან გამოირკვა, რომ შრომის ორგანიზაცია ამ კოლმეურნეობაში სათანადოთ არ არის დაყენებული. წევრები, სამუშაოები, ინვენტარი და მიწის ნაკვეთები ბრიგადებს შორის განაწილებულია გათანაბრების საფუძველზე. ამ განაწილებას დასწრებია და ხელმძღვანელობა გაუწევია კოლმეურნკავშირის ინსტრუქტორ მამედ-მამედოვს.

ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ბორჩალოს რაიკოლმკავშირს სათანადოთ არ დაუმუშავებია თავის მუშაკებს შორის შრომის ორგანიზაციის საკითხი და საკ. კ.პ.(ბ) ცეკას 4 თებერვლის დადგენილება. ქალები ბრიგადებს შორის ჯერაც არ არიან განაწილებული. საერთოდ ქალთა შრომას როგორც სჩანს სათანადოთ არ აფასებენ.

მოუწესრიგებელია აღრიცხვის საქმე. საჭირო ფორმების და წიგნების უქონლობის გამო აქამდე არ სწარმოებს შესრულებული სამუშაოს რაოდენობის და ხარისხის აღრიცხვა. აქამდე არ არის გამორკვეული ბრიგადების ზედმეტი შრომის ანაზღაურების საკითხი. კოლმეურნეობას არა აქვს შემუშავებული გამომუშავების ნორმები და მუშაობა სწარმოებს ძველი ნორმებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ძალზე დაბალია. მაგ: ამ ნორმების მიხედვით ერთმა კოლმეურნემ უნდა მორწყას 0,5 ჰექტარი იონჯა, ფაქტიურად რწყავს 4 ჰექტარზე მეტს.

ზომები ჩამორჩენის გამოსასწორებლად

კამათის დამთავრების შემდეგ, მიტინგმა დაადგინა გაგზავნოს კაცი სამანქანო - სატრაქტორო სადგურში და მოითხოვოს, რომ სადგურმა უახლოეს დღეებში გადახნას დარჩენილი 10 ჰექტარი საბამბე მიწა. გამგეობას დაევალა დაჩქარებით მიამაგროს ბრიგადებზე ქალები; უახლოეს ორი დღის განმავლობაში განიხილოს ნორმები, მოსთხოვოს რაიკოლმეურნკავშირს ანგარიშ - წარმოებისათვის საჭირო დავთრები და ინსტრუქტორი, რომელიც დაეხმარება მოანგარიშეს ანგარიშ - წარმოების დაყენებაში.

დასასრულ მიტინგმა ბამბის თესვის უკეთ ჩატარების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სოფ. აშლასერალის კოლმეურნეობა, რომელმაც გასულ წელს ჩაშალა ბამბის თესვის გეგმა. კირმიზიქენდის კოლმეურნეები სიტყვას იძლევიან, რომ ბუქსირზე აიყვანენ აშლა-სერალის კოლმეურნეობას და მთლიანად შეასრულებენ გეგმებს.

მიტინგზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბამბის თესვის 10 მაისამდე დამთავრების შესახებ.

საგაზაფხულო თესვის ფრონტიდან

ცნობები 20 აპრილისათვის

თესვა

არა სრული ცნობების მიხედვით (ცნობები მიღებული არ არის 18 რაიონიდან 20 აპრილისათვის ყველა კულტურები დათესილი იყო სულ 81.328 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის 11,5 პროცენტი. ამ რაიონებიდან საბჭოთა მეურნეობებს დათესილი ქონდათ 3.001 ჰექტარი, შესრულებული იყო გეგმის 7,9 პროცენტი. კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ სექტორს დათესილი ქონდა 78.22 ჰექტარი, რაც გეგმის 11,9 პროცენტს შეადგენს. აქედან კოლმეურნეობებს დათესილი ქონდა 22.126 ჰექტარი, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობებს 56.101 ჰექტარი.

ბამბა

ბამბისათვის მზრალად მოხნულია 4.049 ჰექტარი, შესრულებულია გეგმის 33,7 პროცენტი. **გაზაფხულზე მოხნულია 12.808 ჰექტარი, ანუ გეგმის 69,4 პროცენტი.** ამრიგად მოხნულია სულ 16.857 ჰექტარი საბამბე მიწა რაც გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით 74,9 პროცენტს არის.

ამავე რიცხვისათვის **დაკონტრაქტებული იყო 21.237 ჰექტარი**, ანუ გეგმის 94,4 პროცენტი. **დათესილი იყო სულ 437 ჰექტარი.** აქედან ყარაიას რაიონს დათესილი ქონდა 54 ჰექტარი, ხოლო ბორჩალოს რაიონს 383 ჰექტარი.

შაქრის ჭარხალი

შაქრის **ჭარხალი დათესილი იყო** სულ 702 ჰექტარზე, შესრულებული იყო **გეგმის 17,5 პროცენტი.** აქედან სტალინისის რაიონს დაკონტრაქტებული ქონდა 487 ჰექტარი, კასპის რაიონს—166 ჰექტარი, ხოლო გორის რაიონს (გორიდან მიღებულია ცნობები მხოლოდ 17 აპრილისათვის) 49 ჰექტარი.

მინერალური სასუქი

მინერალური **სასუქებით უზრუნველყოფილია 1.713 ჰექტარი საბამბე მიწა.** მინერალური სასუქი უკვე შეტანილია 155 ჰექტარ საბამბე მიწაში. ჩაის ნათესებისათვის შემოტანილია სულ 1.670 ტონა სასუქი თამბაქოსა და ეთერზეთოვან მცენარეულობისათვის მინერალური სასუქი უკვე გადმოგზავნილია და ამ დღეებში მიღებული იქნება ადგილზე.

ბრძოლა მინდვრის მავნებლებთან

ბორჩალოს, კახეთის და თბილისის რაიონებში თაგვის წინააღმდეგ **ბრძოლა ჩატარებულია 34,387 ჰექტარზე, რაც გეგმის 36.6 პროცენტს შეადგენს.** ამავე რიცხვისათვის შეწამლულია სულ 6.226,5 ტონა სათესლე მარცვლეული, ანუ გეგმის 42,5 პროცენტი.

აბრეშუმი

20 აპრილისათვის დაკონტრაქტებული იყო სულ 28.464,5 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. **შესრულებული იყო კონტრაქტაციის გეგმის 93 პროცენტი** ამ რაოდენობიდან კოლმეურნეობებს დაკონტრაქტებული ქონდათ კოლექტიური გამოკვებით 281,3 ცენტნერი, ხოლო ინდივიდუალური გამოკვებით 12.300,8 ცენტნერი. **ინდივიდუალურ მეურნეობებს დაკონტრაქტებული ჰქონდათ 15.884,5 ცენტნერი.** ამავე რიცხვისათვის კულაკურ შეძლებულ მეურნეობებს მიცემული ჰქონდათ 358,7 ჰექტარის რაოდენობით.

სარწყავი არხები

სარწყავი ქსელის გაწმენდა დამთავრებულია ბორჩალოს, სიღნაღის, ლიუქსემბურგის და გურჯაანის რაიონებში. გარე-კახეთის რაიონში და იორზე, სარწყავი ქსელის გაწმენდა გრძელდება.. **კოლხიდის დაბლობის ჭაობების ამოშრობის მიწის სამუშაოებიდან, 20 აპრილისათვის შესრულებული იყო 16 პროცენტი.** ალაზნის არხზე შესრულებულია მიწის სამუშაოთა 82.5 პროცენტი. ქობულეთის ჭაობების დაშრობაზე 89, ხოლო სოღანლუღში სარწყავი სისტემის მიწის სამუშაოთა 30 პროცენტი.

განმარტება

ჩვენი გაზეთის 5 აპრილის მეთაურ წერილში აღნიშნული იყო: „კოლმეურნცენტრის ცნობით ცეკას 4 თებერვლის დადგენილების გატარება 1-ლი აპრილისათვის კიდევ დაწყებული არ იყო გურჯაანის, ერწოთიანეთის, სტალინისის, ბაშკიჩეთის და ბორჩალოს რაიონებში".

როგორც „კომუნისტი"-ს რედაქციის მიერ მოხდენილ შემოწმებიდან და ადგილებიდან მიღებული სარწმუნო ცნობებიდან გამოირკვა, **საქ. კოლმეურნცენტრის ზემოაღნიშნული ცნობა სტალინისის რაიონის მიმართ არ შეეფერება სინამდვილეს.**

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

განიარაღების კონფერენციის გენერალური კომისიის სხდომაზე

ჟენევა, 21 აპრილი. ამხ. ლიტვინოვმა, რომელიც გამოვიდა განიარაღების კონფერენციის გენერალური კომისიის სხდომაზე დღის წესრიგის მე-2 მუხლის რეზოლიუციისათვის კენჭის ყრის მოტივებით, განაცხადა:

„საბჭოთა კავშირი რეზოლიუციის წინააღმდეგია როგორც ფორმალურად, ისე არსებითად. ფორმალურად იმიტომ, რომ რეზოლიუცია თითქმის სავსებით გაიგივებულია ერთა ლიგის წესდების მე-8 მუხლთან. ჩვენ მთავრობისათვის არასოდეს არ ყოფილა საიდუმლოება, რომ განიარაღების კონფერენციაში ან კონვენციაში მონაწილეობის მიღებით მან უნდა იცნოს ერთა ლიგის წესდების მე-8 მუხლი, რომელსაც თავისი შინაგანი შინაარსით არავითარი კავშირი არა აქვს ამ კონფერენციასთან. საბჭოთა დელეგაციამ მიიღო მანდატი გამოემუშავებია შეიარაღების შემცირების მეთოდები და არა მიეღო ან მოეწონებია ერთა ლიგის წესდების ესა თუ ის მუხლი. არსებითად კი მე-8 მუხლი არ შეიძლება მიღებულ იქნას ჩვენ მიერ, როგორც სახელმძღვანელო, შეიარაღების შემცირებისათვის, ვინაიდან აქ ამ მუხლს განმარტავენ, როგორც შეიარაღების შემცირების ინდივიდუალური, სუბიექტიური მეთოდის რეკომენდაციას. ამას გარდა, მოსამზადებელი კომისიის ყოველგვარ წინადადებას შეიარაღების რადიკალურად შემცირების შესახებ მუდამ უარყოფდენ მითითებით მე-8 მუხლზე, როგორც ასეთი შეთანხმების მიღწევის ხელისშემშლელ გარემოებაზე, და მარტო ამიტომაც იგი მიუღებელია საბჭოთა დელეგაციისათვის. რეზოლიუციას არამც თუ არ შეაქვს არავითარი გარკვეულობა განიარაღების მეთოდების საკითხში და არ წარმოადგენს ნაბიჯს წინ ჩვენს მუშაობაში, არამედ პირიქით, ქმნის ახალ ორაზროვნებას და გაურკვევლობას, რასაც შეუძლია მხოლოდ გააძნელოს კონფერენციის შემდგომი მუშაობა. ამ პირობებში საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა ამ რეზოლიუციისათვის და მისცეს მას ხმა. საბჭოთა დელეგაციას დარჩენია მხოლოდ ის, რომ დაუცადოს და თვალყური ადევნოს იმას. თუ რა შედეგი მოჰყვება ამ რეზოლიუციის შეთანხმებას კონფერენციის პრაქტიკულ მუშაობასთან. ვწუხვარ, რომ არ მოხერხდა ერთსულოვნობის მიღწევა ამ პირველ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში, მაგრამ ეს აუცილებელი იყო და არ შეიძლება წინდაწინვე არ სცოდნოდათ რეზოლიუციის ავტორებს (ადს).

ამხ. შვერნიკის შესავალი სიტყვიდან

პროფკავშირთა IX საკავშირო ყრილობაზე*)

მე-9 ყრილობას საბჭოთა პროფკავშირები ხვდებიან 16 მილიონი წევრით 11 მილიონის ნაცვლად, რომლებიც მათ ჰყავდათ მე-8 ყრილობის დროს. საბჭოთა კავშირი მთელს მსოფლიოში წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას, სადაც ადგილი არა აქვს უმუშევრობას, სადაც სამრეწველო საწარმოთა მუშების 83 პროცენტი გადაყვანილია შვიდსაათიან სამუშაო დღეზე (ტაში). მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს მუშათა კლასი მეტად დაუახლოვდა სოციალიზმის აშენების მეორე ხუთწლედს, რაც წარმოადგენს გიგანტურ ნაბიჯს კომუნისტური საზოგადოების შექმნის საქმეში. ხუთწლედის ოთხ წელიწადს განხორციელებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასმა გამოიჩინა უმაგალითო გმირობა და შემოქმედებითი ენტუზიაზმი. ამან გამოხატულება ჰპოვა სოცშეჯიბრების და დამკვრელობის, როგორც შრომის ახალი სოციალისტური ფორმების, მძლავრ გაშლაში.

ოთხი მილიონი დამკვრელი—სოციალისტური მშენებლობის ოთხი მილიონი გმირი—მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირში შრომა მუშათა დიდძალი მასისათვის უკვე გადაიქცა „ღირსების საქმედ, სახელის საქმედ" მამაცობის და გმირობის საქმედ". ეს გამარჯვება არის პარტიის ლენინური პოლიტიკის შედეგი, არის შედეგი პარტიის შეურიგებელი ბრძოლისა ორ ფრონტზე—მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საფრთხის და „მემარცხენე" გადახვევების წინააღმდეგ, აგრეთვე პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრისადმი შემარიგებლობის წინააღმდეგ.

განვლილი სამი წლის პერიოდი საბჭოთა პროფმოძრაობისათვის წარმოადგენდა პროფკავშირების მიერ კომუნიზმის სკოლის შესრულების უდიდეს შემოწმებას. პროფკავშირებმა პარტიის ხელმძღვანელობით გამოააშკარავეს ძველი მემარჯვენე—ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის ტრედიუნიონისტული პოზიცია, გაწმინდეს პროფორგანიზაციები ოპორტუნისტული ელემენტებისაგან და განამტკიცეს პროფაპარატი დამკვრელობით და პროფესიონალური და პარტიული აქტივის საუკეთესო კადრებით (შემდეგ, როგორც ტექსტში).

---

*) ტელეგრაფის მიზეზით და ამიერკავკ. დეპეშათა სააგენტოს დაუდევრობით, ამხ. მოლოტოვის და შვერნიკის მიერ პროფკავშირთა მე-9 ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვები დაიბეჭდა, როგორც მარტო ამხ. მოლოტოვის სიტყვა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ 21 აპრილის შინაური ბიულეტენის მე-11 ფურცელი, რომელზედაც იწყება ამხ. შვერნიკის სიტყვა, გაცემულია ტელეგრაფს 21 აპრილის საღამოს 9 საათიდან 22 აპრილის დილის 8 საათისა და 30 წუთამდე. თავისი მოვალეობისადმი უმსგავსო დაუდევარი დამოკიდებულებისათვის სამუშაოდან მოხსნილ იქნა ტელეგრაფის დისპეჩერ-კონტროლიორი სადაკოვი.

ამხ. მოლოტოვის გამოსვლის ანგარიში თავდება სიტყვებით—„სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის (ხანგრძლივი ტაში). გამოტოვებულის ნაცვლად უნდა იყოს: ამხ. შვერნიკის შესავალი სიტყვიდან, რომლის დასაწყისი ქვემოდ მოგვყავს.

ამერიკის პრესა მოითხოვს

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დამყარებას

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. საგაზეთო ტრესტის „სკრიპს გოვარდ"-ის კომპანიას საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების შესახებ ფართოდ გამოეხმაურა პროვინციალური პრესა. 19 პროვინციალურმა გაზეთმა უკვე მოათავსა მოწინავე წერილები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაფართოების სასარგებლოდ. გაზეთების უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკა ჰკარგავს დაკვეთებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი აძლევს გერმანიას და ინგლისს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ დღითი-დღე იზრდება საბჭოთა ბაზრის მნიშვნელობა და საბჭოთა კავშირის საკრედიტო უნარიანობა.

სენატორმა ჯორჯმა განაცხადა, რომ იგი ვერ ხედავს სერიოზულ საფუძველს, რომელიც ამართლებდეს საბჭოთა კავშირის არ ცნობის პოლიტიკას, და მხარი დაუჭირა ამ.-საბჭ. კავშ. ვაჭრობის მაქსიმალურად განვითარებას. სენატორმა მორისმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენა წარმოადგენს „ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, რომელიც უნდა გაატარონ შეერთებულმა შტატებმა". საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაფართოების წინააღმდეგ ილაშქრებენ მარგანეცის, ნავთის და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის წარმომადგენლები და ფაშისტური ორგანიზაციები (ადს).

რეჟ. ეიზენშტეინის ჯგუფი ბრუნდება საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 21 აპრილი. რეჟისორ ეიზენშტეინის ჯგუფმა (ეიზენშტეინი და ალექსანდროვი) დაამთავრა კინო-სურათის გადაღება მექსიკაში და ამერიკაზე გავლით გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში. მექსიკა-ამერიკის საზღვარზე ჯგუფი დააკავა ამერიკის პოლიციამ. ამერიკაში ამ ჯგუფის გავლის სატრანზიტო ვიზა გაუქმებული იქნა. როგორც გამოირკვა, ჯგუფი დააკავეს მექსიკისა და კალიფორნიიდან მიღებული ჯაშუშური ცნობების მიხედვით. დაკითხვის შემდეგ ჯგუფს წინადადება მისცეს მიემართათ ვაშინგტონში, რათა საგანგებო ნებართვა ეთხოვათ შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად. ერთი თვის შემდეგ „ამკინო"-მ მოახერხა ნებართვის მიღება და ეიზენშტეინის ჯგუფი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ნიუ-იორკში, საიდანაც მოემგზავრება საბჭოთა კავშირისაკენ. მოსკოვში ჯგუფი ჩამოვა მაისის პირველ რიცხვებში. ჯგუფს თან მოაქვს მექსიკაში გადაღებული 80.000 მეტრი მასალა. ფილმის მონტაჟი მოხდება მოსკოვში. (ადს).

„დამოუკიდებელ" მანჯურიაში

თეთრგვარდიელთა პროვოკაციები გრძელდება

ხარბინი, 21 აპრილი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, თეთრგვარდიელთა პროვოკაციული გამოსვლები გრძელდება. 19 აპრილს დათხოვნილ თეთრგვარდიელ მოსამსახურეთა ბრბომ ალყა შემოარტყა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამმართველოს შენობას, ამასთანავე ოცამდე კაცი შეიჭრა სამმართველოს შენობაში. შემთხვევის ადგილას გამოცხადებულმა პოლიციელებმა, საბჭოთა კავშირის კონსულის ამხ. სლავუცკის მოთხოვნილების მიუხედავად, რომლებმაც მიმართა მთავარსარდალს, არავითარი ზომები არ მიიღო თავდამსხმელთა გასაფანტავად. ამხ. სლავუცკიმ განაცხადა, რომ პოლიციელთა მიერ სათანადო ზომების მიუღებლობა ამტკიცებს თეთრი დემონსტრანტების კავშირს პოლიციელებსა და თეთრგვარდიელ ჩინოვნიკებთან. ხარბინის პოლიციის განკარგულება იმის შესახებ, რომ არ იქნას მიღებული საბჭოთა მოქალაქეების განცხადებები მათი საბჭოთა კავშირში გამგზავრების შესახებ, ნიშნავს მანჯურიიდან საბჭოთა მოქალაქეების გასვლის ფაქტიურ აკრძალვას. საბჭოთა მოქალაქეების მასიურ ჩხრეკასა და დაპატიმრებასთან დაკავშირებით, რომელიც გრძელდება, საბჭოთა კონსულმაც ამხ. სლავუცკიმ ხელისუფლებას განუცხადა პროტესტი და მოითხოვა დაპატიმრებულთა განთავისუფლება (ადს).

„მანჯურიაში მცხოვრები თითეული ჩინელი იმყოფება იაპონიის ხელისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ".

შანხაი, 21 აპრილი. ჩინური გაზეთი „ჩაინა პრეს"-ი სწერს, რომ ერთა ლიგის კომისია მანჯურიაში ვერ შესძლებს ურთიერთობის დაჭერას ჩინეთის 30 მილიონიან მოსახლეობის ნამდვილ წარმომადგენლებთან. მანჯურიაში მცხოვრები თითეული ჩინელი იმყოფება იაპონიის ხელისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ. უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებსაც კი არა აქვთ საშუალება გააბან კავშირი ჩინეთის მოსახლეობასთან (ადს).

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

ქვანახშირი

ტყიბული, 21 აპრილი (საქ. კორ.) 20 აპრილს ტყიბულის მაღაროებში ამოღებული იქნა ქვანახშირი. დღიური დავალება შესრულდა 72,37 პროცენტით. ამოღებაზე მუშაობდა 1102 მუშა. შრომის ნაყოფიერება თითეულ მუშაზე უდრიდა 580 კილოს.

რკინის გზამ მაღაროებს მიაწოდა 28 ვაგონი.



ტყიბული, 22 აპრილი (საქ. კორ.) 21 აპრილს ტყიბულის მაღაროებში ამოღებულია 677 ტონა ქვანახშირი, დღიური დავალების 84,62 პროცენტი. მუშაობდა 1142 მუშა, შრომის ნაყოფიერება თვითეულ მუშაზე უდრიდა 664 კილოს. რკინის გზამ მაღაროებს მიაწოდა 27 ვაგონი.

ლ. ჯავახაძე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა ერთიან პარტიულ დღეს, 23 აპრილს, პარტუჯრედების ღია კრებებზე დამუშავდეს ამხ. სტალინის

„წერილი კავკასიიდან"

და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 13 აპრილის და თბილისის კომიტეტის ბიუროს 15 აპრილის დადგენილებანი, მიღებული ამხ. **სტალინის** აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით.

მომხსენებლებს გამოჰყოფენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი პ. მელაძე.

ფულადი სახსრების მობილიზაციის შედეგების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის ბიუროს 1932 წლის 14 აპრილის დადგენილება

1. ფულადი სახსრების მობილიზაციის ა.-წ. პირველი კვარტალის შედეგები მთელ საქართველოში გამოსავლების ყველა სახეების მიხედვით, რომლებიც კვარტალური დავალების 100,5 პროცენტს შეადგენენ, ჩაითვალოს საერთოდ დამაკმაყოფილებლად.

2. პირველი კვარტალის დავალების დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან ერთად აღინიშნოს სახსრების მობილიზაციის უაღრესად არადამაკმაყოფილებელი შედეგები გამოსავლების შემდეგი სახეების მიხედვით:

ა) სოფლად სესხის გავრცელება	48,9 პრ.
ბ) ფიზიკურ პირთა ანაბარები შემნახველ სალაროებში	43, პრ.
გ) პაის დაგროვება სამომხმარებლო სისტემაში ქალაქად	45,8 პრ.
დ) პაის დაგროვება სატრანსპორტო კოოპერაციის სისტემაში	42,8 პრ.
ე) პაის დაგროვება საბინაო საიჯარო კოოპერაციის სისტემაში	28,8 პრ.
ვ) პაის დაგროვება სატყეო კოოპერაციის სისტემაში	11,8 პრ.
ზ) სატრაქტორო აქციების გავრცელება	28,4 პრ.

3. ამავე დროს აღინიშნოს პირველი კვარტალური გეგმის მეტად დიდი ნაწილის შეუსრულებლობა შემდეგ რაიონებში:

1. ერწო-თიანეთის	30,9 პრ.
2. ბაღდათის	40,5 პრ.
3. ონის	47
4. ცაგერის	36 პრ.
5. ქვემო სვანეთის	39,8 პრ.
6. ზემო-სვანეთის	48,7 პრ.

4. აღინიშნოს, რომ მთელ რიგ რაიონებში წარმატებით შეასრულეს პირველი კვარტალის გეგმა ა.-წ. 1-ლ აპრილისათვის.

1. თბილისის	125,5 პრ.
2. წალკის	143,4 პრ.
3. ლიუქსემბურგის	156,0 პრ.
4. მესტიის	100,5 პრ.
5. გურჯაანის	109,8 პრ.
6. ლაგოდეხის	111,0 პრ.
7. გორის	110,9 პრ.
8. ბორჯომის	119,1 პრ.
9. ახალქალაქის	109,0 პრ.
10. ბოგდანოვკის	102,9 პრ.
11. ადიგენის	106,1 პრ.
12. აჭარისტანი	115,8 პრ.
13. ამბროლაურის	116,5 პრ.
14. ტყიბულის	111,9 პრ.
15. ჩხარის	110,1 პრ.
16. ლანჩხუთის	10,38 პრ.
17. ჩოხატაურის	106,7 პრ.
18. ქალ. ფოთი	111,8 პრ.

5. ზოგიერთ რაიონში და გამოსავლების ზოგიერთ სახეების მიხედვით დავალების არადამაკმაყოფილებლად შესრულების მიზეზად ჩაითვალოს:

ა) კონკრეტულ და გადამჭრელ ზომების მიუღებლობა იმ ცალკე ორგანიზაციების მხრით, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში, მაგალითად, დირექტივების დაგვიანებით დაგზავნა, ადგილობრივ ორგანიზაციების სუსტად უზრუნველყოფა ინსტრუქტაჟით, ცენტრალიზებულ წესით საუწყებო მუშაკების გაგზავნის გზით, ადგილობრივი მუშაკების არა საკმაო ყურადღება უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ დავალებებისადმი, საზოგადოებრივი დახმარების უაღრესად სუსტი გამოყენება, საზოგადოებრივი მუშაობის ახალი მეთოდების გამოუყენებლობა (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი და მუშაობის სხვა ეფექტიური მეთოდები) მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში.

ბ) ადგილობრივი პარტორგანიზაციების მიერ მტკიცე ხელმძღვანელობის გაუწევლობა ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში.

გ) მასიური პოლიტიკურ-ახსნა - განმარტებითი მუშაობის გაუჩაღებლობა ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის საფინანსო გეგმის შესრულების გარშემო.

დ) საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემის, სამომხმარებლო და საბინაო კოოპერაციის სისტემის მეტად სუსტი მონაწილეობა სახსრების მობილიზაციის შესახებ მთავრობის მიერ მოცემულ დირექტივების პრაქტიკულად რეალიზაციის საქმეში.

ე) რაიონულ აღმასკომებისა და სოფლის საბჭოების სუსტი მონაწილეობა სახსრების მობილიზაციის დარგში.

დაზოგვის საქმის არა სათანადოთ შეფასება და შემნახველ სალაროების მუშაობისათვის საზოგადოებრივი კონტროლის გაუწევლობა, აგრეთვე რაიონული საფინანსო-საკრედიტო აპარატის (განსაკუთრებით შემნახველი სალაროების) უუნარობა ჩააბან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კოლმეურნეთა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასები საფინანსო გეგმის შესრულების ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში.

ფულადი სახსრების მობილიზაციის ძირითად დეფექტების აღმოფხვრისა და ამ საქმეში რადიკალური გარდატეხის მოხდენის მიზნით, საქართველოს კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებმა თავიანთი მუშაობის ყურადღების ცენტრში მოაქციონ ფულადი სახსრების მობილიზაციის სადეკადო გეგმების თანაბრად შესრულება გამოსავლების ყველა სახეების მიხედვით, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ბოლშევიკური ტემპების შესუსტება ერთიან საფინანსო გეგმის საშემოსავლო ნაწილის შესრულების საქმეში. ფულადი სახსრების მობილიზაციაში რაიონების მუშაობის წარმატება უნდა შეფასდეს არა მარტო კვარტალური გეგმის შესრულების მიხედვით, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რამდენად თანაბრად სრულდება სადეკადო გეგმები გამოსავლების ყველა სახეების მიხედვით.

2. მიეცეს გაფრთხილება ონის, ცაგერის, ბაღდათის, ზემო-სვანეთისა და ქვემო-სვანეთის რაიონულ კომიტეტების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, რომ თუ ისინი ა.-წ. აპრილის განმავლობაში არ მიაღწევენ გადამწყვეტ გარდატეხას ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში, ცენტრალური კომიტეტი მათ მიმართ მიიღებს სასჯელის უსასტიკეს ზომებს. წინადადება ეძლევა საქ. ფინსახკომს დეკადის ვადაში გადასინჯოს ამ რაიონების საფინანსო ორგანოების მუშაკთა შემადგენლობა იმ მიზნით, რომ გამაგროს იგი საუკეთესო მუშაკებით.

3. ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულად აფრთხილებს საქართველოს შემნახველ სალაროს ხელმძღვანელობას, აგრეთვე ცეკავშირის, სატრანსპორტო, საბინაო-საიჯარო და სატყეო კოოპერაციის ხელმძღვანელობას, რომლებიც სისტემატიურად არ ასრულებენ დავალებებს ფულადი სახსრების მობილიზაციის დარგში, რომ თუ ისინი უახლოეს ორი დეკადის განმავლობაში არ მიაღწევენ გადამწყვეტ გარდატეხას ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში, დაისმება უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიის ჩაშლისათვის მათი პასუხისგებაში მიცემის საკითხი.

4. ერთხელ კიდევ აღინიშნოს საქართველოს ტრაქტორცენტრის სრულიად არა საკმაო ყურადღება სატრაქტორო აქციების გავრცელების საქმისადმი. მიეცეს გაფრთხილება საქ. ტრაქტორცენტრის ხელმძღვანელებს, რომ თუ ისინი ერთი თვის განმავლობაში არ მიაღწევენ გადამწყვეტ წარმატებებს სატრაქტორო აქციების რეალიზაციის საქმეში, ცენტრალური კომიტეტი იძულებული იქნება მიმართოს მათ წინააღმდეგ მკაცრი სასჯელის ზომებს.

II, საქართველოს ფინსახკომს

1. დაუყოვნებლივ შეადგინოს ფულადი სახსრების მობილიზაციის სადეკადო გეგმები ყველა რაიონებისა და ორგანიზაციების მიხედვით. გააძლიეროს კონკრეტული ხელმძღვანელობა რაიონულ ფინგანყოფილებებისა და შემნახველ სალაროების მიმართ და მიაღწიოს ფულადი სახსრების მობილიზაციის სადეკადო გეგმების თანაბარ შესრულებას გამოსავლების ყველა სახეების მიხედვით.

2. გადასინჯოს რაიონულ ფინგანყოფილებათა შტატი და შემნახველ სალაროების ქსელი იმ მიზნით, რომ ის შეეფერებოდეს რაიონის ეკონომიურ სიძლიერეს.

3. შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მოსახლეობის გამოსავლებთა თავის დროზე მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მეორე კვარტალური გეგმის შესრულება, პირველი კვარტალის დანაკლისთან ერთად.

4. სახელმწიფო ბანკთან ერთად დააწესოს უსასტიკესი კონტროლი საგეგმო დავალებათა შესრულებაზე ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში და რაიონების დაფინანსება და მათთვის დოტაციების მიცემა დაუკავშიროს მათ მიერ ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმის შესრულებას.

5. დააწესოს ადმინისტრატიული სასჯელი იმ ადგილობრივ საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც თავის დროზე არ წარმოადგენენ საანგარიშო ცნობებს სახსრების მობილიზაციის შესახებ.

6. იმ შემთხვევაში, თუ შემჩნეულ იქნა ფულადი სახსრების მობილიზაციის საკითხისადმი იმ ორგანიზაციების აშკარა გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას ღებულობენ ფულადი სახსრების მობილიზაციის ჩატარებაში, დასვას სადირექტივო ორგანოებში საკითხი მათი სასტიკ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

7. ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში ფართოდ გამოიყენოს ცენტრალური და რაიონული პრესა და ყოველ დეკადობით გააშუქოს მასში ფულადი სახსრების მობილიზაციის მიმდინარეობა.

III, საქართველოს პროფსაბჭოს ფრაქციას

1. ჩააბას პროფკავშირების მთელი აქტივი პირველი კვარტალის ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და მეორე კვარტალის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

2. გამოჰყოს პროფკავშირების აქტივის შემადგენლობიდან საზოგადოებრივი ინსტრუქტორები და უზრუნველყოს მათი აქტიური მონაწილეობა შემნახველ სალაროების ჩამორჩენის ლიკვიდაციის საქმეში.

3. საქართველოს ფინსახკომთან ერთად მოაწყოს საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მოსამზადებლად ორკვირიანი კურსები.

4. წინადადება მისცეს პროფკავშირების პრესას გამოჰყოს სპეციალური განყოფილება, სადაც სისტემატიურად უნდა გააშუქოს მუშაობა ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის და მეორე კვარტალის კამპანიის მიმდინარეობა.

5. დამკვრელ მუშათა ბრიგადების ძალებით დააწესოს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების სესხისათვის ხელისშემწყობ კომისიების, შტაბების და საზოგადოებრივ ინსტრუქტორების მუშაობის მეთვალყურეობა დაზოგვის საქმისა და ფულადი სახსრების მობილიზაციის დარგში.

IV, საქართველოს სახკომსაბჭოს

მოისმინოს ყველა იმ ორგანიზაციების მოხსენებანი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში პირველ კვარტალში.

იმ პირთა წახალისების მიზნით, რომლებმაც პირველ კვარტალში გაშალეს გეგმიანი და მოწესრიგებული მუშაობა ფულადი სახსრების მობილიზაციის დარგში, წინადადება მისცეს საქართველოს ფინსახკომს დასვას ამიერ-კავკასიის ფინსახკომის წინაშე საკითხი დაჯილდოების სპეციალური ფონდის გამოყოფის შესახებ.

თბილისი. სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლი საზ-ბის ავიაბაზა დიდ მუშაობას ატარებს ბამბის, ტყის და ბაღ-ოსტნების მავნებლების მოსასპობად.
სურათზე: აეროპლანის მომზადება მავნებლებთან საბრძოლველად (მარცხნივ—მოტორის დადგმა, მარჯვნივ—ბენზინის ჩასხმა ბაკში)

---

1 მაისს თბილისის შეკავშირებულ მოსახლეობაში წ.-კითხვის არც ერთი უცოდინარი არ უნდა იყოს

„დამთავრდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია შეკავშირებულ მოსახლეობის შორის 1932 წლის 1-ლ მაისისათვის, ხოლო დანარჩენთა შორის—1932 წლის დამლევისათვის, ნაცუმცირესობათა ჩამორჩენილ რაიონების გამოკლებით, რომელშიაც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დამთავრდეს 1933 წელს“ (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ბიურო)

„კომუნისტი“-ს დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების რეიდი

თბილისში წერა—კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს, როგორც შემოწმებიდან გამოირკვა, ადგილი აქვს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანების ოპორტუნისტულ შეუფასებლობას ზოგიერთ ადგილობრივ პარტუჯრედების და ფაბქარადგილკომების მხრივ. სუსტია კომკავშირის და პროფკავშირის მონაწილეობა ამ საქმეში. არ სწარმოებს შეთანხმებული მუშაობა სამეურნეო ორგანიზაციებთან.

თბილისის განათლების განყოფილების და ცალკე რაიგანათლების განყოფილებების ოპერატიული ხელმძღვანელობა ლიკსკოლებზე წარმოებებში ძალზე სუსტია რეიდმა გამოარკვია აგრეთვე, რომ ბინათკავშირი სრულ უყურადღებობას იჩენს ლიკსკოლებისათვის ბინების მიცემის და განათების დარგში

მთელ რიგ წარმოებებში აღრიცხული წერა-კითხვის უცოდინარები მთლიანად არ არიან ჩაბმული ლიკსკოლებში (აგურის ქარხნები, ბამბის ფაბრიკა და სხვ.), განსაკუთრებით სუსტია წ. კ. მცირემცოდნეთა სკოლების მუშაობა. ხშირად წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა დამთავრებულნი არ გადაყავთ მცირემცოდნეთა სკოლებში, არ სწარმოებს მათთან სისტემატიური მუშაობა, რომ შეინარჩუნონ წერა-კითხვის ცოდნა, რის გამოც მათ წერა-კითხვა ავიწყდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს 11 აპრილის დადგენილებას ქ. თბილისში და საგარეუბნო რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ არც კი იცნობენ ზოგიერთი წარმოებები და განათლების ორგანოები. ამ დადგენილების რეალიზაციისათვის არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები, რაც საფრთხეს უქადის თბილისში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ვადაზე დამთავრებას.

ძირშივე აღიკვეთოს წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის ოპორტუნისტული შეუფასებლობა. საჭიროა კონკრეტული დამნაშავენი , რომლებიც ხელს უშლიან წერა-კითხვის უცოდინარობის სრულ ლიკვიდაციას სანიმუშოდ დაისაჯონ. ამ დარგში სამუშაოდ და მთელი კულტურული ძალების მობილიზაციით უნდა შესძლოთ სადირექტივო ორგანოების დადგენილების მთლიანად შესრულება. დადგენილება კი გვავალებს თბილისში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრებას მიმდინარე წლის მაისისათვის.

ლიკსკოლებში სწავლობს 10.037 უცოდინარი

თბილისის ცალკე რაიონების მიხედვით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში 20 აპრილისათვის ჩაბმულია 10.037 წერა-კითხვის უცოდინარი. აქედან ლენინის რაიონში 1.151 კაცი. ორჯონიკიძის რაიონში 2.152 კაცი. 26 კომუნარის სახელობის რაიონში 2.152 კაცი. და სტალინის რაიონში 1.105 კაცი. და გარეუბნის რაიონში 2.659 კაცი. ლიკსკოლებში ჩაბმასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს წერა-კითხვის უცოდინართა შორის ინდივიდუალურ მეცადინეობას. განსაკუთრებით ბავშვიანი ქალებისა და ყველა იმისათვის, ვისაც საშუალება არ აქვს სისტემატიურად დაესწროს ლიკსკოლებში მეცადინეობას. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებები ამ მიზნით აწარმოებენ მუშაობას. მაგ., ლენრაიონში ინდივიდუალურად მეცადინეობა სწარმოებს 337 წ. კ. უცოდინართან. „26“ სახ. რაიონში 1.766 წ. კ. უცოდინართან და სტალინის რაიონში წ. კ. — 236 წ. კ. უცოდინართან, ორჯონიკიძის რაიონში 572 წ. კ. უცოდინართან, მაგრამ ეს სრულიად საკმაო არ არის. ქალაქში ჯერ კიდევ არის დარჩენილი წერა-კითხვის უცოდინართა საკმაო რაოდენობა, რომლებიც არც ლიკსკოლებში არიან ჩაბმულნი და მათთან არც განათლების განყოფილება აწარმოებს რაიმე მუშაობას.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ქალაქში არ არის ჩატარებული წერა-კითხვის უცოდინართა ზუსტი აღრიცხვა. თბილისის განათლების განყოფილებას და ცალკე რაიონულ განათლების განყოფილებებს არ მოეპოვებათ ზუსტი ცნობები წ. კ. უცოდინართა რაოდენობის შესახებ. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ თბილისის განათლების განყოფილება ცალკე რაიონებში წ. კ. უცოდინართა რაოდენობისა და მათგან სალიკვიდაციო სკოლებში ჩაბმულების შესახებ, სხვა ცნობებს იძლევა და რაიგანათლების განყოფილებები სულ სხვას. რაიონული განათლების განყოფილების, ცნობით ორჯონიკიძის რაიონში 20 აპრილისათვის სალიკვიდაციო სკოლის გარეშე დარჩენილია 77 წ.-კითხვის უცოდინარი. რაც არ არის სწორი. განათლების განყოფილებებს არც იმის ცნობები მოეპოვებათ 20 აპრილისათვის თუ რამდენი წერა-კითხვის უცოდინარია გამოშვებული და სხვ.

რატომ ჩაიშალა სალიკვიდაციო სკოლები

თბილისის საგარეუბნო რაიონის მთელ რიგ სოფლებში ხელმძღვანელობის და განათლების განყოფილების დაუდევრობით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები ჩაიშალა. სადაც ლიკსკოლები არსებობს, იქ მეცადინეობაზე დასწრება სუსტია, მაგალითად ახალ სოფ. სალიკ. სკოლაში ჩაბმული 91 უცოდინარიდან 9 კაცი უარს აცხადებს მეცადინეობის დასწრებაზე, ხოლო დანარჩენები სისტემატიურად აცდენენ გაკვეთილებს. კოჯორის ახალშენში ხელმძღვანელების დაუდევრობით ლიკსკოლა დაიშალა. სოფ. მარტყოფში 41 წერა-კითხვის უცოდინარია, დარჩენილი ლიკსკოლის გარეშე, ნატახტარის წყალსადენში 92 კაცი და სხვ.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ აღნიშნული სალიკვიდაციო სკოლების ჩაშლა გამოწვეულია ადგილობრივი სოფლის საბჭოების და რაიონული განათლების განყოფილების დაუდევრობით და უხელმძღვანელობით. რაიგანათლების განყოფილებამ ვერ შესძლო ლიკსკოლების ხელმძღვანელობით და სამეცადინო ბინებით უზრუნველყოფა. სოფლის საბჭოებს არ მიუღიათ გადამჭრელი ზომები ლიკსკოლებში წერა-კითხვის უცოდინარობის შენარჩუნებისათვის, პირიქით. ზოგიერთ სოფლის საბჭოები ხელს უშლიან ლიკსკოლების მუშაობას. ასე მაგ., სოფ. ცხვარიჭამიის და გარდანის სოფლის საბჭოებმა არ მისცეს ნუსხების გაშლის საშუალება ლიკსკოლების ხელმძღვანელებს. არ მისცეს ბინები, არც ლიტერატურა და სასწავლო ნივთები. რაც მთავარია ხელმძღვანელებს უგვიანებდენ ორი-სამი და მეტი თვით ხელფასს და სხვ.

ლილოს და სოღანლუღის სოფლის საბჭოებისა და პარტუჯრედების მხრით ადგილი ჰქონდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შეუფასებლობას. ლიკსკოლების ხელმძღვანელებმა რამოდენიმეჯერ მიმართეს სპეციალური განცხადებით აღნიშნული სოფლის საბჭოებს და პარტუჯრედებს ლიკსკოლებისათვის ბინების მიცემის, და მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესების შესახებ. მაგრამ ამ უკანასკნელებს მათთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ.

პროფკავშირების მონაწილეობა სუსტია

თბილისის აგურის ქარხნებში გადაჭრით უნდა ითქვას, რომ დღემდე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში ბევრი არაფერია გაკეთებული. როგორც ადგილობრივი ქარხნის პარტიული და კომკავშირის ორგანიზაცია, ისე განსაკუთრებით პროფორგანიზაცია ამ მხრივ ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობაზეა დაყრდნობილი. არ არის იმის ზუსტი აღრიცხვა, თუ რამდენი წერა-კითხვის უცოდინარია ცალკე ქარხნებში (№ 5—7 ქარხანა) და აქედან რამდენია ჩაბმული ლიკსკოლებში.

№ 4 და 6 ქარხანაში გახსნილია წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო სამი ჯგუფი, მაგრამ მსმენელები სისტემატიურად არ ესწრებიან მეცადინეობას. № 4 ქარხანაში წერა-კითხვის 18 უცოდინარიდან მეცადინეობაზე ესწრება მხოლოდ 6. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ქარხნებშიაც. სისტემატიურად აცდენენ აგრეთვე მასწავლებლებიც. მსმენელების დაუდევრობით და მათი მხრივ მასწავლებელ ქალებისადმი უხეშად მოპყრობის გამო, მასწავლებელ ქალებმა დასტოვეს ლიკსკოლა, ხოლო ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ არანორმალური მდგომარეობის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიუღიათ.

არ სწარმოებს ინდივიდუალურად მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინარებთან. ქარხკომები კი წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის აშკარა თვითმიმდინარეობაზე ეყრდნობიან. № 6 ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარემ არც კი იცის ვინ არის კულტსექტორის ხელმძღვანელი ან ვის ეხება წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე. არც აგურ-კერამიკის კავშირის ცენტრალური გამგეობა ხელმძღვანელობს ადგილობრივ ქარხკომებს. აღნიშნული კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ მხოლოდ 1931 წლის 27 დეკემბერს „განიხილა“ საკითხი წერა-კითხვის უცოდინარობის მიმდინარეობის შესახებ აგურის ქარხნებში.

პროფკავშირები და განსაკუთრებით ადგილობრივი ფაბქარხადგილკომები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობას უნდა ხელმძღვანელობდენ, მაგრამ აგურ-კერამიკის კავშირის, როგორც ცენტრალური გამგეობა, ისე მისი ძირეული რგოლები ამ მხრივ მუშაობის გაშლას „საჭიროდ არ სცნობენ“. — აშკარაა ასეთი „ხელმძღვანელების“ შედეგი თუ რა იქნებოდა.

აღმაშფოთებელი ისაა, რომ ასეთი უყურადღებობა, გრძელდება დღესაც. და არავითარი ზომები არ არის მიღებული მის სალიკვიდაციოდ. ,

ლიკსკოლები გახსნილია, ბინები არ არის

ლიკსკოლების მუშაობის ჩაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საკმაო სამეცადინო ბინების უქონლობა. მიუხედავად სადირექტივო ორგანოების რამოდენიმე წინადადებისა „საბინაო კავშირმა“ დღემდე ვერ შესძლო ლიკსკოლების ბინებით დაკმაყოფილება.

„საბინაო კავშირი“-ს წარმომადგენელმა მარტო იმაზე ილაპარაკა, თუ რამდენ კაცს შეასწავლეს მათ წერა-კითხვა, ხოლო იმაზე თუ რა დახმარებას უწევს აღნიშნული ორგანიზაცია წ. კ. უცოდინარობაში სალიკვიდაციო სკოლებს ბინებით უზრუნველყოფის დარგში, არაფერი სთქვა.

ბინების სივიწროვეს ლიკსკოლებისათვის განსაკუთრებით განიცდის მაუდკამვოლის ფაბრიკა, სადაც მეცადინეობა ხან კლუბში სწარმოებს, ხან სასადილოში და ხან კიდევ „კორიდორებში“. — ცხადია, ასეთი მეცადინეობის ხარისხზე ლაპარაკიც ზედმეტია. ფაბრიკის პროფორგანიზაციამ რამოდენიმეჯერ მიმართა „ბინათკავშირს“ ბინების შესახებ, მაგრამ მას ამისათვის ყურადღებაც კი არ მიუქცევია.

ასეთივე მდგომარეობაა „მკერავი“ № 1-ში, სადაც წ. კ. უცოდინარობის 2 სალიკვიდაციო ჯგუფი არსებობს, მაგრამ სამეცადინო ბინების უქონლობის გამო ჯგუფები ჩაშლის საფრთხის წინაშე სდგას. სრულიად უბინაოდ არის აგრეთვე „სარეწაო კავშირის“ გაერთიანებებთან არსებული ლიკსკოლები, სადაც უბინაობის გამო რამოდენიმე ლიკსკოლა უკვე ჩაიშალა.

საჭიროა ბინათკავშირმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა წარმოებებში სასწრაფოდ მიიღონ ზომები წ. კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების ბინებით დაკმაყოფილებისათვის.

მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია „გამორჩათ“

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა კურსდამთავრებულები უნდა ჩავაბათ მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში. რადგან თუ სისტემატიურად არ ვაწარმოებთ მუშაობას ლიკსკოლებიდან გამოშვებულთა შორის — შესაძლებელია მათ მიღებული ცოდნა დაავიწყდეთ.

მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების ქსელის გაშლის დარგში ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა უყურადღებობასთან და შეუფასებლობასთან. ზოგიერთ წარმოებებში დღემდე არ არის გახსნილი მცირემცოდნეთა სკოლები და არც იმის აღრიცხვა არსებობს თუ რამდენია გამოშვებული ლიკსკოლებიდან. ასე მაგ., „მკერავი“ № 1-ში არც ერთი მცირემცოდნეთა სკოლა არ არის გახსნილი, არც იმის ცნობა მოეპოვება თუ რამდენმა დაამთავრა ლიკსკოლა: 1931 წელში 74 კაცი, რომლებმაც დაამთავრეს წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა გაიგზავნა მკერავთა ტეხნიკუმში, ხოლო წელს ამ მხრით მუშაობის დაწყება ქარხნის პროფორგანიზაციას არც კი მოუგონებია. ასეთივე მდგომარეობაა ხე-ტყის ქარხანაში, აგურის ქარხნებში (№ 5,7, 4) სარეწაო კავშირის გაერთიანებებში და სხვ. ცხადია, ამ მდგომარეობის ახსნა პროფორგანიზაციების უბრალო „გულმავიწყობით“ შეუძლებელია. რაიონული განათლების განყოფილებები და პროფკავშირების ცენტრალური გამგეობები მეტად სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ მუშაობას წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. ეს ორგანიზაციები კმაყოფილდებიან მხოლოდ ცირკულიარებით და დებულებების დამუშავებით, ხოლო პრაქტიკული დახმარების გასაწევად დღემდე მუშაობა არც კი დაუწყიათ.

ორჯონიკიძის სახ. რაიონის განათლების განყოფილებამ საფინანსო კოოპერატიული ინსტიტუტიდან ლიკსკოლების ხელმძღვანელებად გაიწვია 78 სტუდენტი, მაგრამ ამათგან მხოლოდ ხუთი კაცი გამოცხადდა. ბამბის ქარხნის ლიკსკოლის ხელმძღვანელებად საშეფო № 70 შრომის სკოლას უნდა გაეგზავნა მოწაფეები, მაგრამ სკოლის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ქარხნის პროფორგანიზაციის მოთხოვნილებაზე სკოლის ადმინისტრაციამ ლიკსკოლის მსმენელებს უკანასკნელად განუცხადა, რომ „ჩვენ ქარხანაში ვერ გამოვგზავნით მოწაფეებს, თქვენ მოდით სკოლაში და იქ გამეცადინდებით“. ამ მდგომარეობის შერიგება კიდევ შეუძლებელია, რომ სკოლა და ქარხანა ერთი-მეორეს მახლობლად იყვეს: სკოლის ადმინისტრაციას ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებისათვის სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კულტარმიელები სრული დატვირთვით არ არიან გამოყენებული წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის წარმოებულ მუშაობაში. აგრეთვე ლიკსკოლების ხელმძღვანელებთან არავითარ მეთოდიურ მუშაობას არ აწარმოებს განათლების განყოფილებები. ლიკსკოლის მასწავლებლებს აძლევენ მხოლოდ სახელმძღვანელოებს. განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა მხოლოდ ამით ამოიწურება. ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი ლიკსკოლების მუშაობის მაღალ ხარისხზე.

კადრები არ არის

წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები დღემდე არ არის დაკმაყოფილებული მასწავლებელთა კადრებით. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ნაცუმცირესობათა ლიკსკოლების შესახებ. ასე მაგ., ხე-ტყის ქარხანაში რუსებისათვის გახსნილია წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც სწავლობს 11 კაცი, სომხებისათვის, სადაც აგრეთვე გაერთიანებულია 12 წერა-კითხვის უცოდინარი, მაგრამ მასწავლებლის უყოლობის გამო ამ სკოლების მეცადინეობა არ დაწყებულა. ადგილობრივ ქარხნის პროფორგანიზაციას და განათლების განყოფილებას კი არ მიუღია გადამჭრელი ზომები ლიკსკოლებისათვის ხელმძღვანელის გაგზავნისათვის. „მკერავი“ № 1-ში აღრიცხულია წერა-კითხვის უცოდინარი რუსები, სომხები და თურქები, მაგრამ ხელმძღვანელის უყოლობის გამო მათთვის ლიკსკოლები არ გახსნილა. ამჟამად ამ ქარხნისათვის საჭიროა 4 მასწავლებელი.

რეიდის მონაწილენი წინადადებას იძლევიან

დაუყოვნებლივ მოხდეს გარდატეხა წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში. მთლიანად უნდა შესრულდეს სადირექტივო ორგანოების დადგენილება თბილისის შეკავშირებულ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის შესახებ მიმდინარე წლის მაისში.

თბილისის განათლების განყოფილებამ და ცალკე რაიგანათლების განყოფილებებმა უნდა შესძლონ ლიკსკოლების უზრუნველყოფა ხელმძღვანელებით, ბინებით და მასწავლებელთა მუშაობის პირობების გაუმჯობესება.

თბილისის განათლების განყოფილებამ დაუყოვნებლივ უნდა ჩააბას ლიკსკოლებში, როგორც ქალაქში. ისე საგარეუბნო რაიონში სკოლის გარეშე დარჩენილი წერა-კითხვის უცოდინარები და უზრუნველჰყოს გახსნილი ლიკსკოლები მასწავლებელთა კადრებით

ფართოდ გაიშალოს მცირემცოდნეთა სკოლების ქსელი და გადაჭრით გაუმჯობესდეს ამ სკოლების მუშაობის ხარისხი.

გაუმჯობესდეს ლიკსკოლების მუშაობის ხარისხი, რაც უნდა გამოიხატოს მსმენელების მეცადინეობაზე დასწრების მაქსიმალურ გაზრდაში..

რეიდის მონაწილენი: **გრ. ფარხალაშვილი. მ. ოიაშვილი, ო. ქერისელიძე, მ. ჩიგოგიძე, ტ. ადეიშვილი, ივ. ჩხარტიშვილი, ს. ბალუხტოვი, მ. ხუციშვილი, მ. სიხარულიძე, ი. ზაალიშვილი, ან. უზენაიშვილი. ტ. მურადოვი. ან. იავაზიშვილი. მ. დონია. არ. ქალინინა, აკ. ახმეტელი, ს. გოგაშვილი, ვ. სააკოვი.**

ამხ. სტალინის სტატია „წერილი კავკასიიდან“ და პარტორგანიზაციის ამოცანები

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პარტაქტივის კრების რეზოლუცია

პარტაქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. ქ. გორდელაძის მოხსენება ამხ. სტალინის სტატიის—„წერილი კავკასიიდან—შესახებ და განიხილა ამასთან დაკავშირებით რაიონის პარტორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანები, აღნიშნავს ამხ. სტალინის სტატიის—„წერილი კავკასიიდან“—უდიდეს პოლიტიკურ და ზოგადპარტიულ მნიშვნელობას.

თბილისის მენშევიკების მაგალითზე, რომლებიც ანვითარებდენ „ლიბერალურ სისაძაგლეს“ ამხ. სტალინის წერილი აშკარავებს საერთოდ რუსეთის პროგრამულ და ტაქტიკურ ლიკვიდატორობას, რასაც მხარს უჭერდა კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმი,—უფრო მეტად აძლიერებს კლასობრივ სიფხიზლეს ყოველი ჯურის ოპორტუნიზმთან და განადგურებული კონტრრევოლიუციონური მენშევიზმის და ტროცკიზმის ნაშთებთან ბრძოლაში.

ამხ. სტალინის „წერილი კავკასიიდან“, რომელიც განსაკუთრებით დიდ ამოცანებს აყენებს საქართველოს კომპარტიის, განსაკუთრებით კი მისი მოწინავე რაზმის — თბილისის პარტორგანიზაციის წინაშე, ავალებს რაიონულ პარტორგანიზაციას უფრო მეტად გაშალოს მუშაობა 1932 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისა და მთელი ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის და პარტიის წევრების და კანდიდატების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საფუძველზე.

იმ მიზნით, რომ შესრულდეს საქართველოს კომ. პარტიის (ბ) ცენტ. კომ. ამა-წ. 13 აპრილის და საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს 15 აპრილის დადგენილებანი, რომლებიც იძლევიან პარტიის და კომინტერნის ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა გაშლილ პროგრამას,—რაიპარტაქტივის კრება საჭიროდ სცნობს:

1. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს 1932 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებას, თითეულ საწარმოს და მთელ საწარმოთა ტეხნიკურ მდგომარეობას წარმოების შემდეგმი სოციალისტური რეკონსტრუქციის, პროლეტარიატის ახალი ფართო კადრების აღზრდის და მომზადების თვალსაზრისით, ამასთან დაისახოს პრაქტიკული ღონისძიებანი ამ ამოცანების უახლოეს პერიოდში განხორციელებისათვის.

ფართოდ გაიშალოს ტეხნიკური წრეების ქსელი და ჩაბმულ იქნას ამ ქსელში მუშათა კლასის მთელი ახალი შევსების მისი ტეხნიკური ცოდნის ამაღლებისათვის.

2. მიღწეულ იქნას გარდატეხა, პარტკომკავშირული მასის მარქსისტულ-ლენინური სწავლების საქმეში პარტორგანიზაციის რიგების იდეურ-ბოლშევიკური აღზრდის გაძლიერების საფუძველზე. ამ მიზნით გაიშალოს მუშაობა რაიონის პროპაგანდისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის და, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის მეთოდების ფართოდ გამოყენების გზით, გაუმჯობესებულ იქნას სწავლების ხარისხობრივი მაჩვენებლები სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან შეფარდებით.

3. დაისახოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საქ. კომპარტიის (ბ) ისტორიის საკითხების ფართოდ დამუშავებას, ამხ. სტალინის—წერილის „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის“ საფუძველზე პარტიის ისტორიის შემსწავლელი საგნობრივი წრეების ორგანიზაციით და წარსული რევოლიუციონურ ბრძოლის გამოცდილების ურთი-ერთი გაზიარებისათვის მოხსენებების, კონფერენციების და საუბრების ჩატარებით, ამასთან გაგრძელდეს მემარჯვენე ოპორტუნიზმის და ტროცკისტული კონტრაბანდის მატარებლების, ფედერალიზმისა და ნაციონალ-უკლონიზმის რეციდივების შემდგომი გამოაშკარავება და ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

4. უზრუნველყოფილ იქნას იდეოლოგიური ფრონტის შემდგომი განმტკიცება რაიონის სამეცნიერო დაწესებულებების და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გადაჭრით გარდაქმნის გზით, ამასთან მთელი ძალღონე უნდა იქნას გამოყენებული სამეცნიერო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის გაშლილი ბრძოლით მარქსისტულ-ლენინური პრინციპების სიწმინდისათვის, ყოველგვარი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ.

ჩატარდეს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-საწარმოო კონფერენციები მათი მუშაობის ამხ. სტალინის 6 მითითების საფუძველზე გარდაქმნის თვალსაზრისით, ამასთან დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

5. დამუშავდეს უმაღლეს სასწავლებელთა მიერ რაიონის საწარმოების შეფობაზე აყვანის საკითხი და მოეწყოს შეფობა საწარმოთათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად მარქსისტულ-ლენინური აღზრდის და კულტურულ მომსახურების საქმეში.

უზრუნველყოფილ იქნას მუშა-პროპაგანდისტების მომზადება ადგილებზე და გაგრძელდეს დაწყებული მუშაობა სემინარების ქსელის გასაშლელად ძირეული პარტაქტივისათვის.

6. ვინაიდან კულტურული საპროპაგანდო მუშაობა ჩამორჩება ჩვენი განვითარების ეხლანდელ ეტაპზე სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, ჩატარდეს პარტგანათლების ქსელის დათვალიერების ერთთვიური და დარაზმული იქნას პარტკომკავშირული მასები სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის, ამასთან გადაისინჯოს რაიონის უჯრედთა კულტპროპორგანიზატორების შემადგენლობა

7. საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის დადგენილებით გათვალისწინებულ 50 პარტიულ მუშაკთა რიცხვიდან გაიგზავნოს სოფლად სამუშაოდ 15 კაცი მაინც და სისტემატიურად გაიშალოს პროლეტარული ხელმძღვანელობის ყველა მასიური ფორმები.

8. დამუშავდეს ბაქოს პროლეტარიატთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების გეგმა ბაქოს მოწინავე საწარმოების მუშაობის გამოცდილების გასაცნობად და მისი ჩვენი რაიონის საწარმოებში გადმოსატანად. ამ მიზნით გაიგზავნოს ბაქოში რაიონის მთავარი საწარმოების დამკვრელ მუშათაგან შემდგარი ხუთი ბრიგადა მაინც.

იაპონიის კომპარტიის ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ

იაპონიის კომპარტია ითვალისწინებდა ყაჩაღური ომის საფრთხეს მანჯურიის ოკუპაციამდე.

ჯერ კიდევ 6 ივლისს (უაღრესად რეაქციონურ პოლიტიკურ მოღვაწეების — გრაფ უჩიდას სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარედ და გენერალ უგაკას კორეის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნასთან დაკავშირებით) იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის ცენტრალურ ორგანო „სეკკი“-ში (წითელი დროშა) მიუთითებდა საფრთხეზე:

„ვაკაცუკის მინისტრობამ მთავრობამ შეცვალა სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე და კორეის გენერალ-გუბერნატორი. ეს მოასწავებს ჩვენი მანჯურია - მონღოლეთის პოლიტიკის შეცვლას. მთელი ბურჟუაზიული პრესა აგიტაციას უწევს მანჯურიისა და მონღოლეთის სპეციფიურობის იდეის „როგორც ჩვენი ქვეყნის არსებობისათვის აუცილებელი იმპულსის“ გაცხოველების სასარგებლოდ.. იაპონიის იმპერიალიზმის სტრატეგია, ვისთანაც არ უნდა ომობდეს იგი, უწინარეს ყოვლისა მდგომარეობს მანჯურიისა და მონღოლეთის ოკუპაციაში. იაპონიის იმპერიალისტები არა თუ აშკარად აცხადებენ ამას, არამედ ამჟამად უკვე საქმითაც აძლიერებენ მზადებას შეიარაღებული შეჭრისათვის ამ ქვეყნებში. ისინი აშკარად ეწევიან აგიტაციას ომისათვის.

არც ერთი სენტი არ გაიღოთ ომისათვის! არც ერთი ჯარისკაცი არ გადაიყვანოთ!

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი „სეკკი“-ს ფურცლებზე მოუწოდებს აგრეთვე რევოლიუციონერ მუშებს, ღარიბ გლეხებს, ჯარისკაცებს და კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების ხალხებს ეხლავე გაშალონ საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობა ქარხნებსა და სოფლებში იმისათვის, რომ „ომი საბჭოთა კავშირისა და რევოლიუციონური ჩინეთის მშრომელთა წინააღმდეგ გადაიქცეს სამოქალაქო ომად იაპონიის იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, იაპონიის იმპერიალისტური მთავრობის დასამარცხებლად. შეკავშირებული პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის არმიის გასამარჯვებლად“.

პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა აგიტაციას და პროპაგანდას სამხედრო მრეწველობის და ტრანსპორტის მუშათა შორის, აგრეთვე ჯარისკაცებსა მეზღვაურებსა და მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას შორის.

იმ ამბებთან დაკავშირებით, რომლებთაც ადგილი ჰქონდა ვანპონსანში (მანჯურია), სადაც იაპონიის იმპერიალისტებმა ოკუპაციის წინ პროვოკაციულად გამოიწვიეს ჩინელების მიერ კორეელთა მასიური ჟლეტა, ხოლო შემდეგ კორეაში კორეელები აამხედრეს ჩინელების წინააღმდეგ (ყოველივე ეს მოიმოქმედეს განზრახული ოკუპაციის გასამართლებლად), იაპონიის კომპარტიამ 16 ივლისს იაპონიის, ჩინეთის და კორეის მუშებს და გლეხებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„მანჯურიისა და მონღოლეთის სრული კოლონიზაციის მიზნით, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის მომზადების მიზნით, იაპონიის იმპერიალიზმი ცდილობს გააძლიეროს სამხედრო - პოლიტიკური რეჟიმი მანჯურიასა და კორეაში“.

ძირს იაპონიის იმპერიალიზმის კონტრ - რევოლიუციონური შეიარაღებული ინტერვენცია საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მშრომელების წინააღმდეგ!“.

პირველი აგვისტოს კამპანიის მომზადება მიმდინარეობდა ამ თვალსაზრისით. თვით 1-ლ აგვისტოს პარტიამ მოახერხა მთელი რიგი გაფიცვების მოწყობა (მეტალურგიის ქარხნებში. საფეიქრო ფაბრიკებში და მშენებელ მუშათა შორის) და დემონსტრაციების გამართვა ტოკიოს და ოსაკაში. აგრეთვე ზოგიერთ სოფელში.

კორეის ანექსიის წლისთავის დღეს (29 აგვისტოს) იაპონიის კომპარტია ასეთი მოწოდებით მიმართავს მუშებს და გლეხებს:

„იაპონიის იმპერიალიზმი აძლიერებს სამხედრო ძალებს კორეიასა და მანჯურიაში ახალი იმპერიალისტური ომისათვის.

იაპონიის პროლეტარიატმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გააჩაღოს აგრესიის ამ იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ“.

მიუხედავად მრავალი დაპატიმრებისა და რეპრესიებისა ,იაპონიის კომპარტიამ, კომკავშირმა და სხვა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა შესძლეს სექტემბერში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ჩატარება შემდეგი ლოზუნგებით: „შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ“, „იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ“, „ჩინეთის რევოლიუციის დასაცავად“, „მანჯურიასა და კორეაში ჯარის გაგზავნის წინააღმდეგ“, „ძირს სოციალ-ფაშისტები“.

1931 წლის 19 სექტემბერს, როცა იაპონიის ჯარი გარს შემოერტყა მუკდენს, იაპონიის კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება:

„სამხედრო მრეწველობის და ტრანსპორტის მუშებო! არც ერთი ჯარისკაცი და არც ერთი თოფი არ გაგზავნოთ ფრონტზე! შესწყვიტეთ ყუმბარებისა და თოფების წარმოება!

მთელი იაპონიის მუშებო, გლეხებო, და უმუშევრებო, მოაწყვეთ, გაფიცვები და მასიური დემონსტრაციები ომის წინააღმდეგ და თქვენი მოთხოვნებისათვის!

ფრონტის ჯარისკაცებო! დაუყოვნებლივ დაუმხობილდით ჩინეთის ჯარისკაცებს. უფრო გაბედულად გაუწოდეთ ხელი ჩინელ პროლეტარს!

ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო! დაუკავშირდით ჩინელ მუშებს და გლეხებს და გააჩაღეთ ბრძოლა რევოლიუციონური სოლიდარობისათვის!

მოითხოვეთ არმიის დაუყოვნებლივ გაყვანა მუკდენიდან და ყველა დაჭერილ ადგილებიდან! მოითხოვეთ იაპონიის არმიის და სამხედრო გემების დაუყოვნებლივ გაწვევა ჩინეთიდან და მანჯურიიდან! არც ერთი ჯარისკაცი არ გადაიყვანოთ, წინააღმდეგობა გაუწიეთ იაპონიის იმპერიალიზმის და ჩინეთის რეაქციის ყველა სამხედრო მოქმედებას. იბრძოლეთ იმპერიალისტური ომის ახალი საფრთხის წინააღმდეგ!ხელი შეუწყვეთ წითელ არმიას! დაიცავით საბჭოთა კავშირი“ ძირს იმპერიალისტური იაპონია! იბრძოლეთ საბჭოთა იაპონიისათვის!“.

ამ მოწოდებით დაიწყო ახალი ხანა იაპონიის პროლეტარიატის ბრძოლაში იაპონიის იმპერიალიზმის ყაჩაღურ ავანტიურის წინააღმდეგ საალყო წესების, შოვინისტური წასისიანეების და სოც.-ფაშიზმის საზიზღარი გამცემლობის პირობებში. ოკუპაციის დაწყებისას ტოკიოსა და იოკაგამის მეტალურგიულ და ქიმიურ ქარხნებში გავრცელდა ფურცლები ომის წინააღმდეგ, ზოგიერთ ქარხანაში მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუციები.

ტატეიშის და იშატის საფეიქრო ფაბრიკების გაფიცული მუშები ტოკიოში ცდილობდენ დემონსტრაციის მოწყობას ომის წინააღმდეგ. ტოიამას პრეფექტურაში მოკლე ხანში 17 სექტემბრიდან (ინტერვენციის დასაწყისი) 28 სექტემბრამდე მოეწყო გლეხების 6 კონფერენცია ყაჩაღური ომის წინაღმდეგ, 7 ოქტომბერს იაპონიის კომპარტიის გენერალური მდივნის ამხ. ვატანაბეს სიკვდილის (მოკლეს ჯალათმა პოლიციელებმა 1928 წელს თორმოზას კუნძულზე) წლის თავთან დაკავშირებით გაიმართა მთელი რიგი დემონსტრაციები, ამასთან ტოკიოში მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა მუშამ, მიტინგს დაესწრო ათასზე მეტი მუშა. ამ დროს ჩატარდა მთელი რიგი სადელეგატო კრებები. ყველა ეს გამოსვლები მოეწყო ყაჩაღური ომისა და სოციალ-ფაშიზმის საწინააღმდეგო ლოზუნგებით.

პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთამ მოაწყო გაფიცვა აეროპლანების ქარხანაში, რომელიც სამხედრო სამინისტროს დაკვეთებს ასრულებს.

ოქტომბრის რევოლიუციის მე-14 წლის თავი იაპონიაში აღინიშნა ომის საწინააღმდეგო მასიური დემონსტრაციებით და მიტინგებით.

მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური ბრძოლა ომის წინააღმდეგ გამოძახილს პოულობს ჯარში, ასე, მაგალითად, ტელეგრაფისტების რაზმში ტოკიოს მახლობლად მანჯურიაში გაგზავნის წინ დააპატიმრეს 10 ჯარისკაცი, რომელთაც ბრალდებოდა რევოლიუციონური მუშაობა. ხიმეჯინის დივიზიაშიც დააპატიმრეს ჯარისკაცები. დააპატიმრეს აგრეთვე კორეიდან მანჯურიაში გაგზავნილ დივიზიის მრავალი ჯარისკაცი და ორი ოფიცერი და სხ. ყველა ამ შემთხვევაში სამხედრო ხელისუფლება მასიურ დაპატიმრებას ასაბუთებდა იაპონიის კომპარტიის ფურცლების გავრცელებით და რევოლიუციონურად განწყობილ ჯარისკაცების სიტყვიერი აგიტაციით. იაპონიის და ჩინეთის გაზეთების გადმოცემით, **იაპონიის ჯარის მთელი როტა დახვრიტეს მანჯურიაში იმის გამო, რომ მან უარი სთქვა ჩინელების წინააღმდეგ გალაშქრებაზე.**

მოძრაობა ძლიერდება შანხაისა და მანჯურიისა იაპონური ჯარის ნაწილებშიც. შანხაის ოპერაციის დროს მრავალმა იაპონელმა ჯარისკაცმა უარი სთქვა ჩინეთის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაზე. 200-ზე მეტი ჯარისკაცი დააპატიმრეს და უკანვე გაგზავნეს იაპონიაში.

ჩინეთისა და იაპონიის კომპარტიებმა ერთად მოუწოდეს იაპონიის და ჩინეთის მუშებსა და გლეხებს და მთელი ქვეყნის პროლეტარიატს იბრძოლონ შეერთებული ძალღონით იაპონიის იმპერიალიზმის და გომინდანის რეაქციის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის საბჭოების დასაცავად, მხარი დაუჭირონ ჩინეთის წითელ არმიას და ჩინეთისა და იაპონიის პროლეტარიატს, რომელიც იბრძვის ყაჩაღური ომის წინააღმდეგ.

იაპონიის საპყრობილეებში ამჟამად იტანჯება ორი ათასზე მეტი კომუნისტი. ამ ამხანაგების საქმის გარჩევა უკვე სამ წელიწადზე მეტი გრძელდება სასამართლოს 1-ლ ინსტანციაში. უკანასკნელ დრომდე ეს პროცესი სწარმოებდა დახურულ კარებში. [illegible] შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ბრალდებულებმა მიაღწიეს იმას, რომ საქმე გაირჩეს ღია სხდომაზე. ამ პროცესებზე ჩვენი ამხანაგები, მიუხედავად წამებისა და მუქარისა, ენერგიულად ეწევიან აგიტაციას ყაჩაღურ ომის წინააღმდეგ და იყენებენ გამოსვლის ყოველგვარ შესაძლებლობას იაპონიის იმპერიალისტურ მთავრობის ზრახვების მხილებისათვის.

იაპონიის კომპარტია რაზმავს იაპონიის მუშებს და გლეხებს ომის წინააღმდეგ, ყაჩაღური იმპერიალისტური ომის გადასაქცევად სამოქალაქო ომად, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების დასამხობად, სამხედრო-პოლიციური მონარქიის დასამხობად, მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად

აპი

ბ ა რ კ ა ლ ა ი ტ ი*)

დანაკარგებთან ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყოველი საწარმოს მუშაობაში. წარმოების არც ერთ დარგში არ არის ისე დიდი დანაკარგების პროცენტი, როგორც სატყეო მრეწველობაში. დანაკარგები აქ აღწევს 30—97 პროცენტამდე. სახერხი მრეწველობა იძლევა დანაკარგების 30—50 პროც. ექსტრაქტების წარმოება კი 94—97 პროცენტს. გამოანგარიშებულია, რომ ფიცრებში რჩება დასამუშავებლად აღებულ მერქანის მხოლოდ 40 პროცენტი, მაგიდებში, სკამებში და სხვა სადურგლო ნაწარმოებში 10—30 პროც., დანარჩენი იკარგება. დანაკარგების ნაწილი მიდის სათბობად, უმეტესი ნაწილი კი უსარგებლოდ იკარგება.



ამხ. გრიგოლ ბარკალაია

ხუთწლიანი გეგმის თანახმად, წელს საბჭოთა კავშირში მიღებული იქნება 80 მილიონი კუბომეტრი მერქნის დანაკარგი, რაც წონით 65 მილიონ ტონას უდრის. მთელი ეს დანაკარგი რომ გამოყენებულ იქნას სახლის ღუმელების გასათბობად, ის ეყოფა 20 მილიონ ღუმელს. დანაკარგების ეს რაოდენობა დააკმაყოფილებს მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილებას სათბობზე.

ხე-ტყის ასეთი დიდი მარაგი იკარგება უსარგებლოდ სატყეო მრეწველობაში. დანაკარგების სახით რჩება ნახერხი, ბურბუშელა, ჩამონაჭრები, ხის ფოთლები, ტოტები და სხვ. ბევრმა გამოჩენილმა მეცნიერმა სცადა ამ ნარჩენების აღდგენის საშუალების გამოგონება. ბევრი ეხლაც იმტვრევს თავს ამ საკითხზე, მაგრამ შედეგი მცირეა. უცხოეთში შესძლეს ნახერხის დაბრიკეტება სპეციალური შემადუღებელი ნივთიერების საშუალებით, მაგრამ ეს ისეთ რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს შეიცავს და ისე ძვირი ჯდება, რომ მისი მასიურად გავრცელება შეუძლებელი ხდება.

დღემდე ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ გადასწყვიტა საკითხი ნახერხის და სხვა ნარჩენების მშრალად, შემადუღებელი ნივთიერების გარეშე დაბრიკეტების შესახებ. ის, რაც ვერ გააკეთეს სახელგანთქმულმა მეცნიერებმა, გააკეთა ნოსირელმა ღარიბმა გლეხმა გრიგოლ ბარკალაიამ. მან გადასჭრა ათეულ და ასეულ წლებში გადაუჭრელი საკითხი და რევოლუცია მოახდინა ხის დამმუშავებელ მრეწველობაში. მან გამოიგონა ნახერხის, ხის ფოთლების, ჩალის და სხვა მცენარეულობის მასალის დაწნეხვის საშუალება. ბარკალაიამ შესძლო შემადუღებელი ნივთიერების გარეშე ნახერხისაგან მიეღო ახალი მასალა, რომელსაც მეტად ძვირფასი მექანიკური თვისებები აქვს. ამ მასალას გამომგონებლის სახელის აღსანიშნავად ეწოდა „ბარკალაიტი“.

⁂

„კომუნისტი“-ს მკითხველები იცნობენ გრიგოლ ბარკალაიას. მის გამოგონებათა შესახებ არა ერთხელ ყოფილა ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა. ბარკალაიამ თავისი საგამომგონებლო მუშაობა დაიწყო ჩაის ფოთლიდან. მან გამოიგონა მწვანე ჩაის მშრალად დაპრესვის საშუალება. ჩაის ფოთლიდან ბარკალაია გადავიდა სხვა მასალებზე და რვა წლის ცდების შემდეგ აღმოაჩინა ყოველგვარი მცენარეულობის ნარჩენების დაბრიკეტების წესი. **მისი მეთოდი თავისი შედეგებით წინ უსწრებს უცხოეთის ყველა მიღწევებს ამ დარგში.**

გ. ბარკალაია აბრიკეტებს ყოველგვარ ნარჩენს. დაბრიკეტების შედეგად მიღებულ ახალ მასალაში — „ბარკალაიტში“ სრულებით შეცვლილია ის თვისებები, რომელიც ახასიათებდა პირველყოფილ მასალას. ბარკალაიტის ქიმიური შემადგენლობა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. არსებობს აზრი, რომ ბარკალაიტი შეიცავს ლიგნინს, ცელიულოზას და მცენარეულობის ფისს. გარეგნულად ბარკალაიტი წააგავს კარბოლიტს. ის—ასეთივე ერთფეროვანი, პლასტიკური მასაა, მაგრამ მასზე უფრო მაგარია.

მოსკოვის ცენტრალურ აერო-ჰიდრო-დინამიურ ინსტიტუტში (ცაგი) ჩატარებულმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ ბარკალაიტი სიმაგრის მხრივ უთანასწორდება ჩამოსხმულ ალიუმინს. ბარკალაიტის დროებითი წინაღობა შეკუმშვაზე სხვადასხვანაირია და ქანაობს 300—900 კილოგრამამდე კვადრატულ სანტიმეტრზე. მისი მექანიკური თვისებები დამოკიდებულია პირველყოფილ მასალის ხარისხზე, დაპრესვის წესზე და ტექნოლოგიური პროცესის თავისებურობაზე. მუხის ნახერხი და დაფქვილი ჩალა ყველაზე მეტ სიმტკიცეს იძლევიან. ეს სიმტკიცე უახლოვდება ბზის სიმტკიცეს.

აერო-ჰიდრო-დინამიურ ინსტიტუტმა შეადარა ბარკალაიას ბრიკეტების გამოცდის შედეგები იმ ბრიკეტების გამოცდის შედეგებს, რომლებიც შემოტანილი იქნა ამერიკიდან (ეს ბრიკეტები დამზადებულია შემადუღებელი ნივთიერების საშუალებით) და აღმოჩნდა, რომ ამხ. ბარკალაიას ბრიკეტები 30 პროც. უფრო მაგარია და მისი ხვედრითი წონა 40 პროც. უფრო მეტია.

ბარკალაიტს რამდენიმედ უფრო ძნელად ეკიდება ცეცხლი, ვიდრე ხეს, მაგრამ იწვის კარგად. მისი თბოუნარიანობა დაახლოვებით უდრის ხმელი ხის თბოუნარიანობას (4.000—5.000 კალორია კილოგრამზე). ბარკალაიტი 300—600 გრადუსში გადადის კოქსში და მისი თბოუნარიანობა უდრის 7.600 კალორიას კილოგრამზე.

ბარკალაიტის დამუშავება შეიძლება იმ იარაღებით, რითაც ცივად ამუშავებენ ლითონებს: შეიძლება მისი გალესვა, გახეხვა, გაბურღვა, გაჭრა, გაპრიალება, მასზე ხაზების გავლება. გაპრიალების შემდეგ ბარკალაიტი მეტად ლამაზ სახეს იღებს, ის ჰგავს ებონიტს, სპილოს ძვალს, მარმარილოს, ქარელიის არყის ხეს. ბარკალაიტი ორჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე ხე და წყალში იძირება.

ბარკალაიტის დამზადების დროს მას შეიძლება მიეცეს **ყოველგვარი ფორმა**. ეს გარემოება მთელ რევოლუციას ახდენს ხის დამმუშავებელ მრეწველობაში. რაღა აზრი აქვს მთელ რიგ ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მოითხოვენ რთულ მოწყობილობას, კვალიფიციურ მუშებს და დიდ დროს, იმისათვის, რომ მივიღოთ სტანდარტული სახლების ნაწილები, ავეჯეულობა, კასრები, ყუთები. ყველაფერი ეს გაცილებით უფრო მალე, იაფად და კარგად შეიძლება ჩამოსხმულ იქნას ბარკალაიტიდან.

შეიძლება ტყეში მოეწყოს ბარკალაიტის ქარხანა, რომელიც მთელ ხეს ფოთლებითურთ, ტოტებით, ქერქთან, ფესვებთან ერთად დაფქვავს, დაამტვერევს, დაწნეხავს და გადააქცევს იმათ, რასაც ეხლა დანაკარგს — ნახერხს ეძახიან. ნახერხი აქვე ჩამოისხმება სახლის სხვადასხვა ნაწილებად, მაგიდების, სკამების და სხვათა სახით. ტყეებიდან ჩვენ წამოვიღებთ არა მორებს, არამედ გამზადებულ პროდუქციას.

ბარკალაიტის წარმოების ეკონომიური მხარე მეტად საინტერესოა. ტექნოლოგიური პროცესის თავისებურობა საშუალებას იძლევა ერთდროულად ერთსა და იმავე წნევის პირობებში დაპრესვა ვაწარმოოთ რამდენიმე ფენაში. ამით შესაძლებელი ხდება გამოყენებულ იქნას მასიური, მრავალფენიანი დაპრესვა, რაც მნიშვნელოვნად აიაფებს წარმოებას.

წინასწარი გამოანგარიშებით, ლაბორატორიულ პირობებში დამზადებულ ბარკალაიტის ფიცარი, სიგრძით ერთი მეტრი, სიგანით 30 სანტ., და სისქით 4—8 სანტ., დაჯდება 28—33 კაპ. ასეთი ფიცრის სიმძიმე იქნება 12 კილოგრამი. თუ ასეთი ფიცრების დაპრესვა იწარმოებს ერთბაშად 30—40 ფენაში, მაშინ თვითღირებულება შესაბამისად შემცირდება და შეიძლება დაყვანილ იქნას 3—4 კაპეიკამდე.

ასეთია ის ახალი ძვირფასი მასალა, რომელიც შესძინა სოციალისტურ მშენებლობას მუშა - გამომგონებელმა ენტუზიასტმა გრ. ბარკალაიამ. ასეთ მასალაზე საზღვარგარეთ ჯერ კიდევ ოცნებობენ. თავისი აღმოჩენით ამხ. ბარკალაიამ გადასწყვიტა სამი მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემა: 1) მარტივი საშუალებით ისეთი პლასტიკური მასის მიღება მერქანიდან, რომელიც თავისი ტექნიკური თვისებებით სჯობია პირველყოფილ მასალას, 2) მერქანის გამოყენება ხის დამმუშავებელ მრეწველობაში და მშენებლობაში უნარჩენოდ და 3) მერქანის და სხვა მცენარეულობის ნარჩენების დაბრიკეტება, შემადუღებელი ნივთიერების გარეშე.

ბარკალაიტის გამოყენების სფერო თითქმის განუსაზღვრელია. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას მშენებლობაში, რკინის გზებზე, მანქანათმშენებლობაში, ელექტრო-ტექნიკაში, სადურგლო წარმოებაში. ბარკალაიტიდან შეიძლება დამზადდეს პარკეტის იატაკი, შპალები, მანქანების ნაწილები, იზოლიატორები, ავეჯეულობა, კანტორების და სამზარეულოების მოწყობილობა, სატელეფონო-ტექნიკური მოწყობილობა და სხვ. ბარკალაიტს შეუძლია შესცვალოს ძვირფასი ჯიშის ხეები, რომელსაც მანქანებში ხმარობენ, სადაც საჭიროა დიდი სიმტკიცე და მექანიკურ და ფიზიკურ გავლენის დიდი წინაღობა. ამას გარდა, ბარკალაიტით შეიძლება შეიცვალოს ლითონები და მათი სხვადასხვა შენადნობები, რომლებსაც ისინი შეკუმშვაზე მუშაობენ.

ბარკალაიტის გამოყენება ფართოდ შეიძლება გემოკვების მრეწველობაშიაც. „სოიუზხლები“ ორ წელზე მეტია აწარმოებს ქატოს დაპრესვის ცდებს, მაგრამ დღემდე ვერ იქნა მიღებული ისეთი ბრიკეტი, რომელიც საქონლის საკვებად გამოდგება. შემადუღებელი ნივთიერების დამატებით მიღებული ბრიკეტი ისეთი მაგარი გამოდგა, რომ ძნელი ხდება მისი დაფქვა და დასველება.

„სოიუზხლების“ თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ბარანოვის წინადადებით მოახდინეს ქატოს დაბრიკეტების ცდები ამხ. ბარკალაიას მეთოდით. ამ ცდებმა დაამტკიცეს, რომ სავსებით შესაძლებელია „მშრალი წესით“ ქატოდან დამზადებულ იქნას სხვადასხვა სიმტკიცის ბრიკეტები. დაბრიკეტებულ ქატოს ნიმუშები გამოსაცდელად გადაეცა მესაქონლეობის ინსტიტუტს.

ინსტიტუტის დასკვნის მიღების შემდეგ „სოიუზხლებს“ განზრახული აქვს ციურუპას სახელობის კომბინატში დაიწყოს ქატოს უფრო ფართო მასშტაბით დაპრესვის ცდები, რათა გამოირკვეს დაპრესვის საუკეთესო ტექნოლოგიური პროცესი, მიღებულ იქნას ისეთი ბრიკეტი, რომელიც უფრო შეეფერება კვების, შენახვის და გადაზიდვის მოთხოვნილებებს.

ქატოს დაბრიკეტებიდან წელს მიღებული იქნება 7.100.00 მანეთის ეკონომია და ამას გარდა განთავისუფლდება 34 ათასი ვაგონი: ქატოს გადასაზიდათ 68 ათასი ვაგონის ნაცვლად საჭირო იქნება 34 ათასი ვაგონი.

მაგრამ გ. ბარკალაიას მეთოდის გამოყენება გემოკვების მრეწველობაში არ განისაზღვრება მარტო ქატოს დაბრიკეტებით. ბრიკეტები შეიძლება დამზადდეს აგრეთვე წისქვილების და ელევატორების ნარჩენებისაგან.

⁂

ბარკალაიტის საქარხნო წარმოებაში დანერგვის პირველი ნაბიჯი გადადგა ლიუბერეცკის სახელმწიფო სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანამ, სადაც უკვე აწარმოებენ ბარკალაიტის დამზადებას ნახევრად საქარხნო წესით.

ქარხანას გადაწყვეტილი აქვს ბარკალაიტიდან დაამზადოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების მთელი რიგი ნაწილები, რაც დიდ ეკონომიას მისცემს წარმოებას. ნახევრად საქარხნო ცდების დამთავრების შემდეგ დაიწყება ბარკალაიტის მასიურად დამზადება.

მაგრამ ბარკალაიტი ესაჭიროება არა მარტო ლიუბერეცკის ქარხანას. ბარკალაიტი სჭირდება ყველას. საბჭოთა კავშირის 260 ორგანიზაციამ აღძრა უკვე შუამდგომლობა — მოეწყოს მათთან ბარკალაიტის დამზადება. თვითონ ბარკალაია მუშაობს ლიუბერცაში, აგრეთვე მოსკოვის მესამე ზეთის სახდელ ქარხანაში, სადაც ეწყობა ბარკალაიტის ნახევრად საქარხნო მასშტაბით დამზადება.

ბარკალაიამ სოციალისტურ მშენებლობას შემატა ახალი ძვირფასი მასალა. ბარკალაიტის წარმოებას უდიდესი მომავალი აქვს. მან უნდა შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომ ხის დამმუშავებელ მრეწველობაში არაფერი დაიკარგოს, ყველაფერი გამოყენებული იქნას.

შ. ბ—ძე.

---

*) გ. ბარკალაიას გამოგონების შესახებ რუსულ პრესაში მრავალი წერილი გამოქვეყნდა. ამ წერილის შედგენის დროს ჩვენ ვსარგებლობდით შემდეგი მასალებით: ნ. ბოლდინი—„მცენარეულობის ნარჩენების გამოყენება გ. ლ. ბარკალაიას მეთოდით“ (ჟურნალი „წარმოება“ № 3), ინჟ. ი. ა. აბრამოვი—„ბარკალაიტ“ (ჟურ. „დაეუფლეთ ტექნიკას“ № 12), გ. გლეიზერი და დ. იზერგინი—„ბარკალაიას ბრიკეტები“ (გაზ. „ბრძოლა ინდუსტრიისათვის“ № 40), ნ. კ—ა—„ბარკალაიტ“ (გაზ. „სატყეო მრეწველობა“), ლ. კუზიძე—„მუშა ამხ. ბარკალაიამ წინ გაუსწრო მთელი მსოფლიოს მეცნიერებას“ (გაზ. „ტყის მუშა“ № 103).



მოსკოვის პოლიტექნიკურ მუზეუმში მოწყობილი გამოფენა „ბარკალაიტი“-ს სხვადასხვა ნიმუშებით

ხარისხობრივ მაჩვენებლებს—შეუნელებელი ყურადღება

პირველი კვარტალის შედეგები გვავალებს გავაძლიეროთ ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის

ხარისხობრივ მაჩვენებლებისათვის ბრძოლა—ყურადღების ცენტრში

პირველ კვარტალში შრომის დისციპლინა საქ. მრეწველობაში შესუსტდა

საწარმოო გეგმების შეუსრულებლობა საქ. მრეწველობაში 1-ლი კვარტალის განმავლობაში, გარდა მთელი რიგი სხვა ხასიათის მიზეზებისა, აიხსნება შრომის დისციპლინის შესუსტებით, გაცდენების ზრდით და მუშა-ხელის სიმცირით და არასაკმაო კვალიფიკაციით.

1-ლი კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ საქართველოს მძიმე მრეწველობამ შეასრულა 79,3 პროცენტით. მაშინ, როდესაც მძიმე მრეწველობას უნდა მოეცა 4.647.000 მანეთის საერთო პროდუქცია, მან მოგვცა მხოლოდ 3.686.100 მანეთის პროდუქცია ანუ 961.600 მანეთით ნაკლები. მსუბუქმა მრეწველობამ კვარტალური დავალება შეასრულა 85,3 პროცენტით.

მძიმე მრეწველობაში შრომის დისციპლინა შესუსტდა

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოს მძიმე მრეწველობაში შრომის დისციპლინას დიდი შესუსტება ეტყობა.

1931 წლის 1-ლ კვარტალში არასაპატიო მიზეზებით გაცდენილ დღეთა საერთო რიცხვიდან თითო მუშაზე მოდიოდა 0,88 კაც-დღე, ხოლო წელს მძიმე მრეწველობაში ჩაბმულ თვითეულ მუშას გაუცდენია საშუალოთ 1,1 კაც-დღე. პროცენტული გამოანგარიშებით გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში შრომის დისციპლინა შესუსტებულა 25 პროცენტით.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მძიმე მრეწველობაში ჩაბმული იყო იმდენი მუშა-ხელი, რამდენიც გეგმით იყო გათვალისწინებული. სულ ჩაბმული უნდა ყოფილიყო 4059 მუშა-ხელი, ხოლო ნამდვილად ჩაბმული იყო 4057 კაცი, ანუ თითქმის 100 პროცენტი. 1931 წლის შესაფერის კვარტალში, მძიმე მრეწველობაში მუშაობდა 3833 მუშა.

მძიმე მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით შრომის დისციპლინის მდგომარეობა და მუშა-ხელით უზრუნველყოფის საქმე 1-ლი აპრილისათვის ასეთ სურათს იძლევა:

მარგანეცის მრეწველობაში, 1-ლ კვარტალში თვითეულმა მუშამ არასაპატიო მიზეზით გააცდინა 0,99 კაც-დღე. წინა წლის შესაფერის კვარტალში კი ადგილი ჰქონდა მეტ გაცდენებს, ისე რომ მარგანეცის მრეწველობა ერთად-ერთი დარგია, სადაც წელს შრომის დისციპლინა წინა წლის შესაფერის პერიოდთან შედარებით განმტკიცდა 17,5 პროც. სამაგიეროთ მარგანეცის მრეწველობაში ჩაბმული იყო 3,1 პროც. მეტი რაოდენობის მუშა-ხელი, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. 1583 მუშის მაგიერ 1-ლ კვარტალში მუშაობდა 1632 მუშა. ეს გარემოება არ შეიძლება დამახასიათებლად ჩაითვალოს, რადგან მუშა-ხელის გეგმაზე გადაჭარბებულათ დაქირავება უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის თვითღირებულებაზე.

გლაუბერის მარილის წარმოებაში წელს თვითეულმა მუშამ არა საპატიო მიზეზით გააცდინა 4,38 კაც-დღე, ხოლო 1931 წლის 1-ლ კვარტალში 3,36 კაც-დღე. ამგვარად, შრომის დისციპლინა ამ დარგში შესუსტებულია 0,3 პროცენტით. მუშა-ხელის დაქირავების გეგმა კი შესრულებულია 30,3 პროცენტის გადაჭარბებით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 კაცისა, გლაუბერის მარილის საწარმოში მუშაობდა 39 კაცი, რაც უსათუოდ გამოიწვევდა თვითღირებულების შესამჩნევ ზრდას.

ლიტოგრაფიული ქვის წარმოებაში საანგარიშო კვარტალში თვითეულ მუშას არასაპატიო მიზეზით გაუცდენია 1,41 კაც-დღე, ხოლო წინა წლის შესაფერის კვარტალში 0,14 კაც-დღე. ამავე დროს წარმოება განიცდიდა მუშა-ხელის სიმცირეს, რამაც გამოიწვია გეგმის რიცხვობრივი მაჩვენებლების შეუსრულებლობა.

ლითონის მრეწველობაში არა საპატიო მიზეზით გაცდენილ დღეთა რიცხვი წინა წელთან შედარებით 100 პროცენტით გაიზარდა. საანგარიშო კვარტალში თვითეულ მუშაზე მოდის 0,6 გაცდენილი კაც-დღე, როდესაც 1931 წლის შესაფერის კვარტალში თვითეულ მუშაზე მოდიოდა 0,3 გაცდენილი კაც-დღე. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ლითონის მრეწველობაში სულ ჩაბმული უნდა ყოფილიყო 1806 მუშა-ხელი, ხოლო ნამდვილად ჩაბმული იყო 1.955 მუშა, მაშინ, როდესაც წინა წლის 1-ლ კვარტალში მუშაობდა 1651 მუშა.

აგურ-კრამიტის წარმოებაში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი სამუშაო დრო, წინა წლის შესაფერის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 73 პროცენტით. განვლილ კვარტალში თვითეულ მუშას გაუცდენია 6,47 კაც-დღე, ხოლო წინა წლის 1-ლ კვარტალში 3,74 კაც-დღე. მუშა-ხელის რიცხვი გაზრდილია 10 პროცენტით.

დაახლოებით ასეთსავე სურათს იძლევიან მძიმე მრეწველობის დანარჩენი დარგები.

მსუბუქი მრეწველობა

ტყავის მრეწველობაში 1932 წლის 1-ლ კვარტალში სულ გაცდა 15 კაც-დღე. წინა წლის შესაფერის კვარტალში კი გაცდენილი იყო 10 კაც-დღე. წელს თვითეულ მუშას არა საპატიო მიზეზით გაუცდენია 0,11 კაც-დღე, ხოლო შარშან 0,07 კაც-დღე. ტყავის მრეწველობაში საანგარიშო კვარტალში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 150 მუშა-ხელი, ფაქტიურათ მუშაობდა 140 მუშა, ანუ 93,3 პროცენტი.

ფეხსაცმელების ფაბრიკებში სულ გაუცდენიათ 341 კაც-დღე, ხოლო წინა წლის 1-ლ კვარტალში გაცდენილი იყო 90 კაც-დღე. წელს თვითეულ მუშას გაუცდენია 0,57 კაც-დღე, ხოლო შარშან —0,16 კაც-დღე. ფეხსაცმელების ფაბრიკებში საწარმოო-საფინანსო გეგმის თანახმად ჩაბმული უნდა ყოფილიყო 638 მუშა, ხოლო ნამდვილათ მუშაობდა 599 მუშა.

თექის წარმოებაშიაც ერთი - ორად შესუსტდა შრომის დისციპლინა. საანგარიშო კვარტალში თვითეულ მუშაზე არასაპატიო მიზეზით გაცდენილი დროიდან მოდის 0,18 კაც-დღე, ხოლო წინა წლის 1-ლ კვარტალში მოდიოდა 0,09 კაც-დღე. წელს 1-ლ კვარტალში თექის ფაბრიკის მუშებს გაუცდენიათ 16 სამუშაო დღე, შარშან კი 8 დღე. მუშა-ხელის რიცხვის მხრივ გეგმა შესრულებულია 96,8 პროცენტით, ე. ი. ნაცვლად გათვალისწინებული 94 მუშისა, წარმოებაში ჩაბმული იყო 91 მუშა.

აბრეშუმის ძაფსაღები მრეწველობა იძლევა შრომის დისციპლინის განმტკიცების მაჩვენებლებს. განვლილ კვარტალში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი ყოფილა სულ 579 კაც-დღე, ხოლო გასულ წელს გაცდენილი იყო 1192 კაც-დღე, წელს თვითეულ მუშას გაუცდენია 0,95 კაც-დღე, ხოლო შარშან 1,26 კაც-დღე. მუშა-ხელის წარმოებაში ჩაბმის გეგმა აბრეშუმის ძაფსაღებ მრეწველობას არ აქვს შესრულებული. გეგმის 1-ლ კვარტალში აბრეშუმის ძაფ-საღებ ქარხნებში უნდა ემუშავნა 2393 მუშას, ხოლო ნამდვილათ მუშაობდა 2183 მუშა, ანუ 91,2 პროცენტი.

აბრეშუმის ძაფსაგრეხ წარმოებაში წელს გაუცდენიათ 78 კაც-დღე, შარშან კი 198 კაც-დღე, წელს თვითეულ მუშაზე არასაპატიო მიზეზით გაცდენილი დროიდან მოდის 0,87 კაც-დღე, ხოლო შარშან მოდიოდა 0,90 კაც-დღე. მუშა-ხელის შეგროვების და წარმოებაში ჩაბმის გეგმა შესრულებულია 91,8 პროცენტით.

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 1.133 კაც-დღე. წინა წლის შესაფერის კვარტალში გაცდენილი იყო 338 კაც-დღე; წელს თვითეულ მუშას გაუცდენია 1,1 კაც-დღე, შარშან—0,49 კაც-დღე. მუშა-ხელის წარმოებაში ჩაბმის გეგმა შესრულებულია 17,8 პროცენტის გადაჭარბებით.

საფეიქრო მრეწველობაში საანგარიშო კვარტალში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 3.860 კაც-დღე, ხოლო შარშან გაცდენილი იყო 1.287 კაც-დღე. წელს თვითეულ მუშაზე მოდის 2,39 გაცდენილი კაც-დღე, ხოლო შარშან მოდიოდა 0,95 კაც-დღე. მუშა-ხელის შეგროვების გეგმა შესრულებულია 1,3 პროცენტის გადაჭარბებით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1595 მუშისა, თბილის-ქუთაისის მაუდის ფაბრიკებში მუშაობს 1615 მუშა.

პოლიგრაფიული მრეწველობაც შესამჩნევათ ჩამორჩა შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. საანგარიშო კვარტალში მთელ პოლიგრაფიულ მრეწველობაში არასაპატიო მიზეზით გაცდენილ იქნა 320 კაც-დღე, ხოლო 1931 წლის 1-ლ კვარტალში 84 კაც-დღე. წელს თვითეულ მუშას გაუცდენია 0,67 კაც-დღე, ხოლო შარშან 0,18 კაც-დღე. მუშა-ხელის ჩაბმის გეგმა ზუსტადაა შესრულებული.

საერთოდ, მთელს მსუბუქ მრეწველობაში საანგარიშო კვარტალის განმავლობაში გაცდენილია 8.071 კაც-დღე, ანუ თვითეულ მუშაზე მოდის 0,85 კაც-დღე. გასული წლის 1-ლ კვარტალში გაცდენილი იყო 4.419 კაც-დღე, თვითეულ მუშაზე საშუალოთ მოდიოდა 0,49 კაც-დღე.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მსუბუქ მრეწველობაში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 0,396 მუშა, ხოლო ნამდვილათ ჩაბმული იყო 9.864 მუშა—94,4 პროცენტი.

ბრძოლა 1310 ჰექტარისათვის

ყველა საგარეთუბნო მეურნეობებში

მოხნულია 1009,1 და დათესილია 452,3 ჰექტარი

წეროვანის საგარეთუბნო მეურნეობა მიტოვებულია უპატრონოდ

დადგა ბოსტნეულის თესვის გადამწყვეტი დღეები

ბოსტნეული კულტურის თესვაში უკვე დადგა გადამწყვეტი პერიოდი. ძირითადი კულტურების თესვა უნდა დამთავრდეს უახლოესი კვირის განმავლობაში.

ხვნის ტემპები საგარეთ. მეურნეობებში აშკარად არადამაკმაყოფილებელია. 20 აპრილისათვის მებოსტნეობის საგარეთუბნო მეურნეობებში ხვნის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 77 პროცენტით, 1310 ჰექტარიდან მოხნული იყო 1009,1 ჰექტარი.

ცალკე საგარეთუბნო მეურნეობებიდან ხვნის გეგმების შესრულებაში ყველაზე წინ მიდის **დილომის** მეურნეობა, რომელმაც გეგმა შეასრულა 96,5 პროცენტით. დილომის მეურნეობაში, ბოსტნეულის დასათესად გამოყოფილ 450 ჰექტარიდან 20 აპრილისათვის მოხნული იყო **434,5 ჰექტარი.**

წეროვანის საგარეთუბნო მეურნეობამ ხვნის გეგმა შეასრულა 79,4 პროცენტით, გათვალისწინებული 350 ჰექტარიდან 20 აპრილისათვის მოხნულია 275 ჰექტარი.

შედარებით ჩამორჩენილია გორის და ბათომის მებოსტნეობის საგარეთუბნო მეურნეობები. თვითეულში ამ მეურნეობებიდან, ბოსტნეულის დასათესად უნდა მოიხნას 170 ჰექტარი. აქედან 20 აპრილისათვის მოხნული იყო 110 ჰექტარი, გორის მეურნეობაში და ამდენივე ბათომის მეურნეობაში.

საშტრედიის მეურნეობამ 130 ჰექტარის ანგარიშში, 20 აპრილისათვის მოხნა 60,1 ჰექტარი, რაც გეგმის 46,2 პროცენტს შეადგენს.

ყველაზე ჩამორჩენილია **ჭიათურის** საგარეთუბნო მეურნეობა, სადაც 20 აპრილისათვის მოხნული იყო მხოლოდ 17 ჰექტარი.

ხვნის გეგმების შეუსრულებლობა ყველა მეურნეობებში, გამოწვეულია ადგილობრივი ხელმძღვანელობის გულგრილობით და უმოქმედობით. ზოგგან თავის დროზე ვერ შეაკეთეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (წეროვანი) და ზოგან ხვნას დიდი დაგვიანებით შეუდგნენ (გორი, ჭიათურა).

მესაქონლეობის საგარეთუბნო მეურნეობებში ხვნის გეგმების შესრულებაში ადგილი აქვს საგრძნობ ჩამორჩენას. საერთოდ მესაქონლეობის ყველა საგარეთუბნო მეურნეობებში (სოღანლუღის, კაჭრეთის, მესვეური, მაღლაკის, ბათომის, და წეროვანის მესაქონლეობის საგარეთუბნო მეურნეობებში) უნდა მოიხნას 1320 ჰექტარი. აქედან 20 აპრილისათვის მოხნული იყო 990 ჰექტარი. (გეგმის 75 პროც.).

წეროვანის საგარეთუბნო მეურნეობის დირექტორმა რაზმაძემ და მომარაგების აგენტმა პასუხი უნდა აგონ

საგაზაფხულო ბოსტნეულის თესვის პერიოდი უკვე თავდება, მთელ რიგ საგარეთუბნო მეურნეობებში კი ნახევარი ფართობიც არაა დახნული. წეროვანის საგარეთუბნო მეურნეობაში წელს უნდა დაიხნას და დაითესოს **350 ჰექტარი.** აქედან 10 აპრილისათვის დახნული იყო მხოლოდ 180 ჰექტარი. ასეთ პირობებში ცხადია, რომ წეროვანის საგ. მეურნეობა წელს ვერ გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს და ვერ შეასრულებს ხვნის და თესვის გეგმას.

წეროვანის საგარეთუბნო მეურნეობაში გამეფებულია სრული უპასუხისმგებლობა, უთაობა, არაა ხელმძღვანელობა და არ ჩანს ადმინისტრატორის მტკიცე ხელი. ფაქტიურად მეურნეობა სრულიად უპატრონოდაა მიტოვებული.

საქ. პროფსაბჭოს მუშათა მომარაგების სექტორმა მეურნეობაში გაგზავნა სპეციალური ბრიგადა, რომელსაც უნდა გამოეკვლია მეურნეობის მდგომარეობა. ბრიგადამ შეკრიბა მთელი რიგი ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ წეროვანის მეურნეობაში ადგილი აქვს მთელ რიგ აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედებას.

უყაირათობის ფაქტები

წეროვანის მეურნეობის დირექტორი ამხ. **რაზმაძე** მოხვდა მეურნეობაში მოკალათებულ ძმა-ბიჭების წრეში და სრულიად გაითქვიფა მათში, ამას წინათ, როცა საჭირო იყო სას.-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთება და როცა თვითეული საათი ძვირფასი იყო, მეურნეობის დირექტორმა, მეურნეობის ერთად-ერთ მჭედელს მისცა შვებულება, რამაც გამოიწვია იარაღ-მანქანების შეუკეთებლად დარჩენა.

მეურნეობას ყავს 7 ცხენი. ამ ცხენებს იყენებენ საჯირითოდ და მათ მოვლაზე კი არ ზრუნავენ.

ამის გამო ერთი ცხენი მოკვდა.

მეურნეობის მიწების გასანოყიერებლად, გლეხებს მოჰქონდათ სასუქი, მაგრამ არც ერთ მათგანს გასამრჯელო არ მიუღია. ამიტომ ეხლა სასუქი არავის არ მოაქვს. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებს არ მიუღიათ ხელფასი უკანასკნელი თვე-ნახევრის განმავლობაში. საქ. კოოპმეურნეობათა სამმართველოს თავის მხრივ არ გადაურიცხავს ფული მეურნეობისათვის, ეს იწვევს მუშების დიდ უკმაყოფილებას.

მეურნეობის სასადილოს მუშაობა არაფრათ არ ვარგა. გარდა იმისა, რომ სასადილო გადაქცეულია მუშების საერთო საცხოვრებლად, იქ გამეფებულია ანტისანიტარია, მეურნეობის ადმინისტრაცია ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. სასმელი წყალისათვის სასადილოში დგას წყალის კუბი. მაგრამ კუბს ონკანი არ აქვს და მუშები უწყლოთ არიან.

ხვნა-თესვის მაგიერ—ქეიფი და ჯირითი

წეროვანის მეურნეობას ყავს მომარაგების საკუთარი აგენტი, რომელიც მეურნეობის ინტერესებისათვის ზრუნვის მაგიერ საკუთარ მომარაგებაზე ზრუნავს. მომარაგების აგენტი უფრო ხშირად თბილისში იმყოფება და ქეიფობს. მასთან ერთად ძმაბიჭურათ დადის და ქეიფობს, მეურნეობის დირექტორიც. საიდან რა თანხებით, რა საშუალებებით ქეიფობდენ ეს ვაჟბატონები? მეურნეობის მუშებისათვის ეს დღემდე საიდუმლოებას წარმოადგენდა. მაგრამ მუშათა ბრიგადამ აღმოაჩინა ამის წყარო. ამას წინად მომარაგების აგენტმა თბილისიდან წეროვანში გაგზავნა ზეთი. წეროვანში ამ ზეთის არც ერთი წვეთი არ მიუღიათ. იქ განაცხადეს, რომ გაგზავნილი ზეთი გზაში „დაიღვარაო“. მეურნეობაში არსებული ტრაქტორებისათვის გაგზავნილი ბენზინიც მთლიანად „დაღვრილია გზაში“. თბილისიდან მეურნეობაში დასათესად გაგზავნეს სამი ტომარა სიმინდის თესლი. სამივე ტომარა „დაიკარგა“ გზაში და მეურნეობა კი უთესლოთ დარჩა.

მეურნეობაში ყოველდღიურად იკარგება სათესლე კარტოფილი. სათესლე კარტოფილის ნაწილს სასადილოში იყენებენ სადილებისათვის, არავინ ადევნებს თვალყურს სთესენ თუ არა კარტოფილს ის მუშები, რომლებსაც კარტოფილი ხელზე ეძლევათ მინდორზე სამუშაოდ გასვლისას.

ბოროტმოქმედებები წეროვანის მეურნეობაში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, მაგრამ მათ წინააღმდეგ დღემდე არავინ არ იღებს ზომებს. დილომის მეურნეობის სულისჩამდგმელები გატაცებული არიან უფრო სხვა საქმით და არავის სცალია, რომ ასეთ „წვრილმანებს“ მიაქციონ ყურადღება.

მთელი დღე, დილიდან საღამომდე მეურნეობის ზოგიერთი პასუხისმგებელ მუშაკებს მიყავთ მეურნეობის ცხენები და თავს ჯირითობით ირთობენ.

მეურნეობაში ვერ მოხერხდა პატარა საბავშვო ბაგის მოწყობა და ამის გამო 30 ბავშვიანი ქალი ყოველდღიურათ სცდება. ქალთა შრომის გამოყენებისათვის მეურნეობაში აუტანელი პირობებია შექმნილი. მუშა-ქალებს გასაქანს არ აძლევენ ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკები.

რას იტყვის ყველაფერ ამაზე საქ. კოოპმეურნეობათა სამმართველო? ცხადია, რომ მისი ხელმძღვანელობა კერძოდ წეროვანის საგარეთუბნო მეურნეობაზე არაფრად არ ვარგა და მოკლებულია ყოველგვარ გამართლებას.

საქ. კოოპმეურნეობათა სამმართველო ხშირად იძლევა თვალის ამხვევ ცნობებს ხვნა-თესვის მიმდინარეობის, თესლეულით მომარაგების და სხვათა შესახებ. ფაქტიურად გამოდის, რომ ამ დარგში შექმნილია ყოვლად უნუგეშო მდგომარეობა. და საქმე ჩაშლის წინ სდგას.

მაღლაკის მეურნეობაში ადგილი აქვს უმსგავსოებას

პროფსაბჭოს მუშათა მომარაგების სექტორმა მაღლაკის საგარეთუბნო მეურნეობაში მიავლინა საკუთარი ბრიგადა მეურნეობის მდგომარეობის გასაცნობათ. ბრიგადამ გამოარკვია, რომ მეურნეობაში ადგილი აქვს მთელ რიგ უმსგავსოებებს და არავინ არ ღებულობს ზომებს ამ უმსგავსოებათა ლიკვიდაციისათვის.

სისტემატიური ლოთობა, გულგრილი და ზერელე დამოკიდებულება მეურნ. განვითარების საკითხისადმი, მეურნ. ქონების საკუთარ საჭიროებათათვის გამოყენება—აქ ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული. მეურნეობის ადმინისტრაციამ არ მიიღო ზომები სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დროულად შეკეთებისათვის და გვიან შეუდგა ხვნას.

18 აპრილისათვის მაღლაკის მეურნეობაში 270 ჰექტარიდან მოხნული იყო მხოლოდ 82 ჰექტარი, ხოლო აქედან დათესილი იყო 8 ჰექტარი. უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობა სავსებით უზრუნველყოფილია სათესლე მასალით, ყავს საკმაო ცოცხალი გამწევი ძალა და სხვ.

მეურნეობაში დაკლეს ჯიშიანი ღორი და ხორცი გაინაწილეს ადგილობრივი კოოპერაციის მუშაკებმა და მეურნეობის ადმინისტრაციამ. მეურნეობის მუშებისათვის კი, არაფერი მიუციათ. არსებული წესების თანახმად ღორის დაკვლა არ შეიძლებოდა წინასწარი შემოწმების მოუხდენლათ, მაგრამ რას დაეძებენ წესებს, იქ სადაც ღვინოზე მწვადების დაყოლებისათვის ზრუნავენ.

საქ. კოოპმეურნეობათა სამმართველომ უნდა გააძლიეროს მეთვალყურეობა საგარეთუბნო მეურნეობებზე. სამმართველოში არ არის საკონტროლო ორგანო. არ არის გამოყოფილი ასეთი მუშაკი, რომელსაც უნდა ევალებოდეს მეურნეობების ხელმძღვანელობის მდგომარეობაზე თვალყურის დევნება. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და ადგილებს გაეწიოს მეტი პრაქტიკული და ყოველდღიური დახმარება.

შ. ქ—ძე:

უსწორდით ლენინის რაიონს

რომელმაც თავი გამოაცხადა წერა-კითხვის მთლიან მცოდნეობის რაიონად

მასიური დემონსტრაცია ლენინის რაიონში.

ლენინის რაიონის წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რაიონად გამოცხადების აღსანიშნავად, გუშინ, ნაშუადღევს მოეწყო მასიური დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ლენინის რაიონის პარტიულ - კომკავშირულ ორგანიზაციებმა და მოწაფეთა ფართო მასებმა.

დემონსტრაციის დასრულების შემდეგ პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში გაიმართა საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა ლენინის სახ. პარტრაიკომის კულტპროპ განყოფილების გამგემ **ამხ. ჯაშმა,** რომლის შემდეგ ვრცელი სიტყვით გამოვიდა თბ. განათლების განყოფილების სახელით **ამხ. მაილოვი.** მან აღნიშნა ის უდიდესი მნიშვნელობის ინიციატივა, რომელიც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში გამოიჩინა ლენინის რაიონმა. შემდეგ ამხ. მაილოვი შეჩერდა წ. კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ლენინის რაიონის ინიციატივას დანარჩენი რაიონებიც მიბაძავენ და ამგვარად უმოკლეს ვადაში შეასრულებენ პარტიის და ხელისუფლების დავალებას კულტურულ რევოლუციის საქმეში.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის მუშა **ამხ. ელიოზაშვილი,** რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ ზოგიერთი რაიონები ვერ აწარმოებენ გადამჭრელ ბრძოლას წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. ლენინის რაიონის ეს ინიციატივა კი იქნება ის სტიმული, რომლითაც შესაძლებელი გახდება ფართო მასების ჩაბმა ამ უდიდესი საქმისათვის ბრძოლაში.

ლენინის სახ. რაიონის დიასახლისების სახელით, რომელიც სწავლობს ლიკსკოლაში გამოვიდა ამხ. **კუტალაძე.** ის მოუწოდებდა დიასახლისებს—მასიურად ჩაებან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში, რომ ამით შესაძლებელი გახდეს ქალის გამოყვანა ოჯახური წვრილმანი მომაბეზრებელი ყოფისაგან.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ლენინის რაიონის კომკავშირის ორგანიზაციის სახელით **ამხ. ფანცულაია.** ლენინის რაიონის განათლების კავშირიდან ამხ. **სადაღაშვილი.** მაღალი ტიპის სკოლის მოწაფეთა სახელით ამხ. **ჩხაიძე** მეათე საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედის სახელით მოწაფე ულენტი და სხვა.

ამხ. ჯაშის საბოლოო სიტყვის შემდეგ საზეიმო სხდომა დაიხურა.

პ ი რ ვ ე ლ მ ა ი ს ი ს წ ი ნ

პირველი მაისის ზეიმის მხატვრული გაფორმება თბილისში

თბილისში პირველი მაისის ზეიმის მხატვრულად გაფორმებისათვის პროლეტარული მხატვრების და ხუროთმოძღვრების ასოციაცია თბილისის საბჭოსთან ერთად შეუდგა საქალაქო ფოტო-ვიტრინების მოწყობას, სავაჭრო წერტების ვიტრინების და ტრიბუნების გაფორმებას. ეწყობა სპეციალური ვიტრინა კარიკატურებით პოლიტიკურ თემებზე.

საქართველოს განსახკომის ხელოვნების და ლიტერატურის სექტორი განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად ამხ. სტალინის სახელობის კლუბში აწყობს საქართველოს სას. რესპუბლიკის კოლექტივიზაციის ფრონტზე მიღწეულ წარმატებების სახვითი ხელოვნების და ფოტო გამოფენას მხატვართა ბრიგადების მასალის მიხედვით (შირაქი, ჩაის რაიონები და სხვ.)

განსახკომის ხელოვნების სექტორის ყველა სამხატვრო წერტებს მიეცა მითითება მხატვრული ანტირელიგიური მასალის მომზადების შესახებ იმის გამო, რომ 1 მაისი ხვდება აღდგომას.

სახვითი ხელოვნების სახელოსნოებს (ქანდაკების და მხატვრობის პროდუქციის) დაევალა დაამზადონ შესაფერი მხატვრული პროდუქცია, კერძოდ მხატვრული ფურცლებიც.

პირველი მაისის დემონსტრაციების მხატვრული მომსახურებისათვის, მუშათა ახალგაზრდობის თეატრების, მოზარდმაყურებელთა თეატრების და სხვ. ძალებით ეწყობა მომღერალთა გუნდები და მხატვართა ბრიგადები (ალს).

პირველი მაისის ზეიმი თბილისში

1 მაისს თბილისის საბჭოს სექციის ბრიგადები გაემგზავრებიან საშეფო კოლმეურნეობებში და სოფლებში ზეიმის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, თბილისის საბჭოს წევრები დაათვალიერებენ თბილისის წითელ ყაზარმებს წითელარმიელთა ყოფაცხოვრების და საბრძოლო მომზადების გასაცნობად.

დაჯილდოებული იქნებიან ის სადეპუტატო ჯგუფები, რომლებმაც მოგვცეს თავიანთი მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლები.

ზეიმის დღეს გაიხსნება ტრამვაის ხაზი ზოოპარკამდე და მთელი რიგი სკვერები. გაიხსნება გზატკეცილი, რომელიც იწყება ლენინის ქუჩიდან, გაივლის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან და თავდება იქ, სადაც შენდება სადგურის ხიდი. თბილისის სხვადასხვა საწარმოებთან გაიხსნება 30 საბავშვო ბაღი (ალს).

წითელარმიელების ოჯახების უზრუნველყოფა

მიმდინარე წლის 22 მარტს საქ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ სამხედრო მსახურთა, სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახებისათვის კანონით მინიჭებული შეღავათებისა და უპირატესობათა ცხოვრებაში გატარებისა და დემობილიზაცია-ქმნილი წითელარმიელთა სამუშაოზე გამოყენების საქმის მოსაგვარებლათ 8 აპრილს თბილისში და 11 და 12 აპრილს ქუთაისში, სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარის ამხ. ვ. გაშაძის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორების სამხედრო კომისრებთან ერთად. თათბირმა დადგენილება მიიღო გადაჭრელი ზომები იქნეს მიღებული ყველა იმ დეფექტების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც აქამდე ადგილი ჰქონდა რაიონებში და ქალაქებში წითელარმიელების ოჯახების უზრუნველყოფის საქმეში.

ბიბლიოთეკა

სახალხო ჯანმრთელობა და საკურორტო მშენებლობა მეორე ხუთწლედში

საგეგმო კომისიების, ჯანსახკომების, საკურორტო სამმართველოების, ფიზკულტურის და ტურისტული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ა.-კ. თათბირი

20 აპრილს, ა.-კ. საგეგმო კომისიასთან გაიხსნა რესპუბლიკანური საგეგმო კომისიების, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების, საკურორტო სამმართველოების ფიზკულტურული და ტურისტული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი სახალხო ჯანმრთელობისა და საკურორტო მშენებლობის მეორე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად და შესასწავლად და ახალი ხუთწლედის ძირითადი ვარიანტის დასასახავად.

თათბირი გახსნა ა.-კ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ფირუმოვმა, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ სახალხო ჯანმრთელობა—ეს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტთაგანია უკლასო სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ სოციალიზმის მშენებელთა ჯანმრთელობა, რომ ამით მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მაჩვენებლებს.

ამხ. ფირუმოვმა მოუწოდა თათბირს, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას იხელმძღვანელონ ყველა იმ რეალური შესაძლებლობებით, რომელიც იქნება ჩვენი სახალხო მეურნეობის განკარგულებაში. ახალი გეგმის შემუშავებისას მოსალოდნელია ორგვარი საფრთხე. ერთის მხრივ მინიმალიზმში გადავარდა, ე. ი. ყველა შესაძლებლობათა არა სრული გათვალისწინება და ამასთან შეფარდებით ნაკლები მასშტაბის აღდგენა. ხოლო მეორეს მხრივ ზედმეტი ოპტიმალობა და გადაჭარბებითი მასშტაბის აღება. ორივე ეს საფრთხე უნდა იქნეს თავიდან აცილებული და ამ მხრივ თათბირმა უნდა გამოიჩინოს ნამდვილი ბოლშევიკური შეუპოვრობა და გამბედაობა.

ამხ. ა. რუხაძის მოხსენება

ამხ. ა. რუხაძემ გააკეთა მოხსენება სახალხო ჯანმრთელობის, საკურორტო მშენებლობის, ფიზკულტურის და ტურიზმის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი საფუძვლების შესახებ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახალხო ჯანმრთელობის მეორე და ახალი ხუთწლიანი გეგმის დამუშავებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ა.-კ. სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა მაჩვენებლები. საკმარისია აღინიშნოს, რომ თუ წელს ა.-კ. სახალხო მეურნეობის საერთო შემოსავალი იქნება 1,5 მილიარდი მანეთი, მეორე ხუთწლედის ბოლოს სახალხო მეურნეობის საერთო შემოსავალი მიაღწევს 6 მილიარდ მანეთამდე.

ამასთან შეფარდებით უნდა განვითარდეს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეც. მაგრამ აქ მხედველობაშია მიღებული ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს 1-ლ ხუთწლედში. ახალი ხუთწლიანი გეგმის დამუშავებისას მხედველობაშია მიღებული ის გარემოება, რომ სოციალური დაავადებათა სწეები უნდა შემცირდეს და ამ მხრივ, შემცირებული იქნება ამბულატორიულ მიღებათა რიცხვი.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამკურნალო ქსელი შემცირდება. პირიქით, მეორე ხუთწლედში სამკურნალო ქსელი უფრო უნდა დაუახლოვდეს მშრომელ მოსახლეობას. თუ ამჟამად საწარმოებში (ა.-კ. ყველა რესპუბლიკებში) გახსნილია ჯანმრთელობის 224 პუნქტი, ახალი ხუთწლედის ბოლოს ასეთი პუნქტები უნდა იქნენ მოწყობილი ყველა საწარმოებთან, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებთან.

ამხ. რუხაძემ აღნიშნა, რომ პირველი ხუთწლედის განმავლობაში სახალხო ჯანმრთელობის განვითარების ტემპები, შესამჩნევად ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის დანარჩენი დარგების განვითარების ტემპებს. მომავალ ხუთწლედში სახალხო ჯანმრთელობისათვის ზრუნვა იქნება საერთო სახალხო მეურნეობრივი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი და საპასუხისმგებლო დარგისათვის ზრუნვა.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული მსუბუქი და საკვები მრეწველობის განვითარების საქმეს, რომ ამით უზრუნველყოფილი იქნეს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის მაქსიმალურად გაუმჯობესება.

ფიზკულტურის დარგში გადაწყვეტილია მთელი რიგ კომბინატების მოწყობა მთავარ სამრეწველო ცენტრებში. გაფართოებული იქნება აგრეთვე ფიზკულტურის მოედნების, დარბაზების და კლუბების ქსელი.

ასეთივე ფართო პერსპექტივებია გაშლილი ამიერ-კავკასიაში ტურიზმის განვითარების დარგში. გადაწყვეტილია დაწესებულ იქნეს ახალი მარშრუტები, აგებულ იქნეს სასტუმროები საექსკურსიო ბაზები და სხვ.

საკურორტო მშენებლობას ერთი ძირითადი ადგილი ექნება დაკავებული მეორე ხუთწლედში. მთავრობისა და პარტიის უზენაესი ორგანოების დირექტივის თანახმად ამიერ-კავკასია აღიარებულია საბჭოთა კავშირის მშრომელთა ჯანსაღობის აღდგენის ქვეყნად. თუ დღემდე საკურორტო მშენებლობას არ ექცეოდა საკმაო ყურადღება, ამიერიდან ამ საკითხს განსაკუთრებული ადგილი ექნება დათმობილი.

ყველა მნიშვნელოვან კურორტებზე—ბორჯომის ჯგუფი, წყალტუბო, შოვი, ძაუ-სუარი, შემახა; არზნი, თბილისი აბასთუმანი, და სხვ. აგებულ იქნება ახალი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

ყველა კურორტებზე გათვალისწინებულია 145.000 ახალი საწოლის მოწყობა, რომ ყოველწლიურად კურორტებმა შესძლონ 300.000 კაცის გატარება.

სახალხო ჯანმრთელობის ხაზით მომავალ ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებანი ნავარაუდევია 200 მილიონი მანეთის რაოდენობით.

საკურორტო მშენებლობის ხაზით გათვალისწინებულია 350 მილიონი მანეთის დაბანდება, ტურიზმის ხაზით—15 მილიონი მანეთის დაბანდება.

სულ მეორე ხუთწლედის განმავლობაში ყველა აღნიშნული მიმართულებებით დაბანდებული იქნება 600.000.000 მანეთი.

თანამოხსენებები

ამხ. არჩილ რუხაძის მოხსენების შემდეგ თათბირმა მოისმინა თანამოხსენებები მეორე ხუთწლედის ზოგადი მაჩვენებლების შესახებ სახალხო ჯანმრთელობის დარგში. ამ საკითხზე თანამოხსენება გააკეთა ამხ. ლ. ნაზარეტიანმა.

შემდეგ მოსმენილ იქნა რესპუბლიკური ჯანსახკომების წარმომადგენელთა თანამოხსენებები ახალი ხუთწლიანი გეგმის სავარაუდო მაჩვენებლების შესახებ.

22 აპრილს დილის სხდომაზე გრძელდებოდა თანამოხსენებების მოსმენა, რის შემდეგაც თათბირი გადავიდა სექციურ მუშაობაზე. თათბირის სექციები იმუშავებენ 24 აპრილამდე, რის შემდეგაც შესდგება უკანასკნელი სხდომა ახალი ხუთწლიანი გეგმის 1-ლი ვარიანტის განსახილავად.

კოლმეურნეობების მტერი

საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 1930 წელს ჩარიცხულ იქნა ვინმე კატო ღამბაშიძე. მისი ნამდვილი გვარი გოგჯაშვილია. ეს ის კატო გოგჯაშვილია, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო თიანეთის რაიონში ექვსი კოლექტიური მეურნეობის დაშლაში. გოგჯაშვილის ქალი დაპატიმრებულიც იყო თავის დროზე აშკარა ანტისაბჭოთა მუშაობისათვის. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ის იცვლის გვარს ყოფილი ქმრის ღამბაშიძის გვარზე და იწყობა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

თიანეთის რაიონიდან მან აქვს ყალბი საბუთებიც, რომელიც გაცემულია ნაცნობობით. ამავე წელს ის იწყობა სამსახურში თბილისის აბრეშუმის ქარხანაში, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ის მოხსნილ იქნა, როგორც უცხო ელემენტი.

გოგჯაშვილის მამა რევაზ გოგჯაშვილი კულაკია და განთქმული ჩარჩი. იგი [illegible]. ყოველივე ამის შესახებ გადმოგზავნილი იყო განცხადება თიანეთის რაიონიდან ინსტიტუტის ორგანიზაციების სახელზე. მაგრამ საქმე მიფუჩეჩებულ იქნა.

სანამდი უნდა დარჩეს ეს ასე? ნუ თუ კულაკის შვილი, კოლმეურნეობის მოსისხლე მტერი ღირსია იმის, რომ მის აღზრდაზე საბჭოთა კაპეიკები იხარჯებოდეს მაშინ, როცა ბევრი მუშა და ღარიბი გლეხი ახალგაზრდა, უმაღლეს სასწავლებლებში ადგილების უქონლობის გამო, სკოლის გარეთ დარჩა?!

ნ. ა.

სასამართლო

კონსტანტინე ტროშინსკის საქმე

ა. წ. 21 აპრილს, საღამოს 6 საათზე, მაუდის ქარხნის კლუბში (დიდუბეში), დიდძალი მუშების თანდასწრებით, თბილისის გაერთიანებული სახ. სასამართლომ ამხ. ს. კაკაბაძის თავმჯდომარეობით, პროკურორ ბ. წულუკიძის, საზოგადო ბრალმდებელი ა. გელიაზაროვის, სამოქ. მაძიებელ გ. ქილიფთარის და დამცველების მ. ლვამიჩავას და თ. ცაგურიას მონაწილეობით დაიწყო კონსტანტინე ტროშინსკის საჩვენებელი გასამართლება.

როგორც ვსწერდით სასამართლო დასკვნის მიხედვით, ტროშინსკის ბრალი ედება იმაში, რომ მუშაობის დროს მაუდის ქარხანაში, სადაც განყოფილების ოსტატად, ეწეოდა ქალებში გარყვნილ ცხოვრებას, აწიოკებდა თვითმომარაგებას და სხვა, რაშიაც მას კრებებზე ამხილდა იმავე ქარხნის მუშა-ქალი, პარტიის წევრი, ადგილობრივ ბიურო-კოლექტივის წევრი, კომკავშირის ცეკას წევრი და თბილისის საბჭოს წევრი ამხ. ლიუბა მოროზი.

უკმაყოფილო ამ გარემოებით და კიდევ იმით, რომ თითქოს მოროზი ხელს უშლიდა მას დაახლოებოდა იმავე ქარხნის მუშა-ქალ ან. კიკნაძესთან, რომელთანაც ტროშინსკის ვითომ შეუღლებაც კი უნდოდა, ტროშინსკიმ გადასწყვიტა მოროზის მოკვლა. ამ მიზნით გასული წლის 3 აპრილს, ღამის 12 საათზე, მოროზის და კიკნაძის საერთო საცხოვრებელში შესვლისას, რამოდენიმეჯერ ესროლა რევოლვერი „ნაგანი"-ს სისტემის. ერთი ტყვია მოარტყა თავში და მძიმედ დასჭრა მოროზის ქალი, ე. ი. ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 19 და 144 მუხ.

სასამართლოს საექიმო დასკვნით, ლიუბა მოროზს აღმოაჩნდა თვალის ახლო ჭრილობის შესავალი ხვრელი, ხოლო კეფის არეში სისხლის ჩაქცევა. დაჭრილს გაუკეთდა თავის ქალის ოპერაცია და თავიდან ამოღებული იქნა ტყვია. მოროზის ქალს დაზიანებული აღმოაჩნდა ტვინის ქსოვილი და დარღვეული ტვინის ზოგიერთი ფუნქციები. ამ დაზიანებას უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა სიკვდილი, მაგრამ სრულიად შემთხვევით გადარჩა.

საბრალდებულო დასკვნის გამოცხადების შემდეგ სასამართლო გადავიდა ტროშინსკის დაკითხვაზე.

ბრ. ტროშინსკიმ არ სცნო თავი დამნაშავედ იმაში, რომ თითქოს წინასწარ განზრახული ქონებოდეს მოროზის ქალის მოკვლა და განმარტა შემდეგი: 1929 წ. ის დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც მივლინებული იყო, მაუდის ქარხნის მიერ, მაუდის საქმის შესასწავლად. მაშინ ის პარტიის კანდიდატათ ირიცხებოდა. 1929 წელშივე ის არჩეული იქნა პოლიტწრეში. ხოლო 1930 წ. ის დამტკიცებული იქნა პარტიის წევრად და უჯრედის გადარჩევის დროს არჩეული ბიუროს წევრად. პირველ ხანებში, სანამდე ის გაიცნობდა კიკნაძის ქალს, იმავე ქარხნის მუშას, რომელიც ბინაში მოროზთან ერთად სცხოვრობდა—მოროზსა და მის შორის იყო ჩვეულებრივი განწყობილება, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან გაიცნო და დაუახლოვდა კიკნაძის ქალს, მოროზი მას გადაეკიდა და მოსვენებას არ აძლევდა; აგინებდა, უძაგებდა მის თავს კიკნაძის ქალს, ეუბნებოდა მას, რომ ტროშინსკი გარყვნილი კაცია, რუსეთში კურსებზე ყოფნის დროს ცოლი შეირთო, მასთან ორი შვილი ყავდა და მიატოვა. აგრეთვე ეუბნებოდა, რომ ის არაფერს არ წარმოადგენსო და სხვ.

ტროშინსკი, მისი სიტყვით პირველ ხანებში ამას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ რაც უფრო მტკიცდებოდა ურთიერთობა კიკნაძის ქალსა და მის შორის, მით უფრო აუტანელი ხდებოდა მოროზის ქალი.

ამ აუტანელი მდგომარეობის შესახებ ტროშინსკიმ გ. წ. მარტის თვეში განუცხადებია უჯრედის მდივანისათვის, რომელსაც გამოუძახებია მოროზის ქალი და მიუცია მისთვის შენიშვნა.

ამის შემდეგ მოროზის ქალი ცოტათი დამშვიდებულა, მაგრამ შემდეგ ისევ დაუწყია ტროშინსკის ლანძღვა-გინება.

შემთხვევის საღამოს მათ სადგურზე გაუცილებიათ ყოფილი უჯრედის მდივანი ჩოდიკაშვილი. დაბრუნებისას ტროშინსკის მოუსურვებია კიკნაძის ქალთან ერთად წასვლა, მაგრამ ამის წინააღმდეგ წასულა მოროზი და სადგურიდან გამოსვლისას ორჯერ გამოუტაცნია მისთვის კლავში ხელგაყრილი კიკნაძის ქალი. ამ შემთხვევას ტროშინსკი გაუბრაზებია, მაგრამ თავი შეუკავებია. შემდეგ ჩამსხდარან ტრამვაიში და წასულან დიდუბეში. სახლში მისვლისას კიკნაძის ქალი და ტროშინსკი გაჩერებულან კარებთან და დაუწყიათ ლაპარაკი. ამ ლაპარაკის დროს ტროშინსკის უთქვამს კიკნაძისათვის, რომ მან უნდა მოელაპარაკოს მოროზს და გამოარკვიოს, თუ რატომ არის ის გაჯავრებული მასზე. მოროზის ქალი ამ დროს თავის ოთახში გახდილი ყოფილა. კიკნაძის ქალის შეკითხვაზე მიიღებდა თუ არა ის ტროშინსკის სალაპარაკოდ, მას უარი განუცხადებია, და დაუწყია ტროშინსკის ლანძღვა-გინება. ამ დროს ტროშინსკის გადაუწყვეტია ოთახში შესვლა და იქ მოლაპარაკება. მაგრამ მოროზის ქალი წამომხტარა, მივარდნია კარებთან, შეუტრიალა ოთახში კიკნაძის ქალი და გაუხურია კარები, მაგრამ კარებს შუა მოქცეულა ტროშინსკის ფეხი და კარები სავსებით ვერ დაუხურავს.

ამ უდიერი მოპყრობით, თითქოს, აღელვებულა ტროშინსკი, ამოუღია „ნაგანი"-ს სისტემის რევოლვერი და უსვრია პირდაპირ. ერთი ტყვია მოხვედრია თავში; დარტყმამ მეორეხელ, მაგრამ არ გავარდნილა, მხოლოდ მესამეჯერ გასროლილი ტყვია აუცდენია, დაჭრილი მოროზი დავარდნილა იატაკზე, ხოლო ტროშინსკი გამოსულა და დაუძახია სასწრაფო დახმარების ეტლისათვის.

ბრალდებულ ტროშინსკის დაკითხვის შემდეგ დაკითხულ იქნა ლიუბა მოროზი, რომელმაც განმარტა შემდეგი: მუშაობდა რა მაუდის ქარხანაში, ამჩნევდა ბევრ არანორმალურ მოვლენებს, რაც აფერხებდა ქარხნის მუშაობას, და ხშირად გამოდიოდა წუნდადებული პროდუქცია. ქარხანაში არის ერთი ჯგუფი, რომელშიაც შედიოდა ბრალდებული ტროშინსკი, უჯმაჯურიძე ალიბეგაშვილი და სხვ., რომლებიც სისტემატიურად ეწეოდნენ ლოთობას, ქალებში გარყვნილ ცხოვრებას და სხვა. მას როგორც პარტიის წევრს, კომკავშირის ცეკას წევრს, ადგილობრივ ბიურო-კოლექტივის და თბილისის საბჭოს წევრს არ შეეძლო ამ საქმისათვის ეცქირა გულგრილად და ამ ჯგუფის უმსგავსო მოქმედებებს ამხელდა სხვადასხვა კრებებზე. აგროვებდა ტროშინსკის საწინააღმდეგო მასალას და სხვა.

მოროზის თქმით, მისი დაჭრა ტროშინსკის მიერ გამოწვეული იყო მით, რომ ტროშინსკიმ გაიგო, რომ ის მის წინააღმდეგ, როგორც აქ ისე მოსკოვში ყოფნის დროს ჩადენილ უმსგავსობის შესახებ, აგროვებდა მასალას და ტროშინსკის და მისი ამხ-ბის გარყვნილი ცხოვრების და თვითმომარაგების საკითხი უნდა დაესვა სათანადო ორგანოების წინაშე. მხოლოდ ამ გარემოებით ყოფილა გაბოროტებული ტროშინსკი, თორემ სხვა მიზეზი მოროზის თქმით არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ტროშინსკის და მის შორის არასოდეს არ ყოფილა არც ახლო მეგობრული და არც მტრული განწყობილება, რადგან ისინი მუშაობდნენ სხვადასხვა ცეხებში და ერთი მეორეს იშვიათად ხედებოდნენ; არასოდეს არ ულანძღავს და არ უგინებია ის, კიკნაძის ქალის ჩამოშორება მას არც უფიქრია, რადგან კიკნაძე არის დამოუკიდებელი ქალი და მას თვითონ შეეძლო მისივე საკითხის გადაწყვეტა და სხვა. უჯრედის მდივანს ის არასოდეს არ გამოუძახია და არ გაუფრთხილებია. რომ თავი დაენებებია ტროშინსკისათვის და სხვა.

ამით დამთავრდა 21 აპრილის საღამოს სხდომა.

პროცესი გრძელდება.

დ. ხ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

„დონ-კიხოტი", — მუს მინკუსისა

„დონ-კიხოტის" მუსიკა ფრიად სუსტი წყობისაა საბჭოთა მაყურებლის თვალსაზრისით. ღარიბი ჰარმონიული ფაქტურა, ეპიზოდური ხასიათი, დრამატიზმის ამ არარაობა ან სიყალბე—ყოველივე ეს სერვანტესის ცნობილ სატირას უკარგავს აგიტაციურ მუსიკალურ სიმახვილეს. ეს გარემოება შეუჩნეველი არ დარჩენია ახალგაზრდა ბალეტმეისტერს და დამდგმელს, ვ. ჭაბუკიანს. ამიტომ სიმძიმის ცენტრი მან გადაიტანა დადგმითი დეტალების გაძლიერებაზე მშვენივრად არის შერჩეული ტრუპა, პანტომიმური მიზანსცენები და დამახასიათებელი ცეკვები.

საგულისხმოა ამასთანავე ეკონომიის პრინციპი. ამ დადგმაში ახალი დეკორაციები არ დაწერილა. საქმე გვაქვს ოპერაში უკვე არსებულ სხვადასხვა დადგმათა დეკორატიულ ან მოწყობილობათა რაციონალურად გამოყენებასთან. აგრეთვე კარგათაა მოცემული კოსტიუმები და მათი ფერები. დადგმის სისუსტე გამოიხატება მუსიკის ფაქტურით გამოწვეულ დივერტისმენტულ ხასიათში, მასიურ სცენების სტატიზმში და სტილიური ნიშნების აღრევაში. არის ადგილები, სადაც მაყურებელი ვერ ხვდება, თუ რას მოასწავებს ესა თუ ის სცენა: მაგრამ ყველა დეფექტები თითქმის დაჩრდილულია იმ საცეკვაო ქორეოგრაფიული მიღწევებით, რომელსაც იძლევა ვ. ჭაბუკიანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭაბუკიანის ტექნიკა. „მიღწევები" ბალეტის დარგში საზოგადოთ გაჟღენთილია პატოლოგიური ელემენტებით (მაგალითად მოროდინი და სხვ.), და ტრიალებენ იმპრესიონისტულ ესტეტიზმის ფარგლებში. ვ. ჭაბუკიანის შემოქმედებაში კი ჩვენ პირველად ვხედავთ ნამდვილ ჯანსაღ ცეკვას, გაჟღენთილს დინამიზმით, ცეკვას ჩვენი ეპოქის შესაფერის ენტუზიაზმისა და სხეულის ფიზიკურ მიღწევათა გამომსახველს. ამიტომ ჭაბუკიანის შემოქმედება მოკლებული არაა აღმზრდელობით მნიშვნელობას. ეს მომენტი გაორკეცებულია იმ გარემოებით, რომ დღევანდელ ქორეოგრაფიაში ასეთი შემთხვევა იშვიათი მაგალითს წარმოადგენს.

ვეჩესლოვა ჩაითვლება ჭაბუკიანის ღირსეულ პარტნიორად. ფრიად მტკიცე და მდიდარი ტექნიკური მიღწევა, იშვიათი დინამიური გაქანება უსათუოდ ამ ახალგაზრდა ქალის განმასხვავებელ ღირსებას წარმოადგენს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭაბუკიანის საუკეთესო ზეგავლენა თბილისის ოპერის ძალებზე, მეტადრე ბალეტის სოლისტებზე. გვარამაძის ქალის მიერ მოცემული საუცხოვო სისუფთავე ქორეოგრაფიულ ხაზებისა, მშვენიერი ტექნიკა და ამ ტექნიკის აზრიანად გამოყენება—დიდ ინტერესს იწვევს. დასასრულ უნდა ითქვას, რომ საჭიროა მიექცეს მეტი ყურადღება პერინის საბალეტო სტუდიას. ამ სტუდიამ სავსებით დაამტკიცა თავისი პოტენციალობა ისეთი საბალეტო ძალების აღზრდით, როგორიც არის ვახტანგ ჭაბუკიანი, სემიონოვა, გვარამაძე და სხვანი.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ქრონიკა

ორჯონიკიძის, სტალინის და ლენინის რაიონები 23 აპრილიდან მთლიანი წერა-კითხვის მცოდნეობის რაიონებია.

საზოგადოება „წერა-კითხვა" სახ. განათლების შესაფერ რაიონულ განყოფილებებთან ერთად ორჯონიკიძის, ლენინის და სტალინის რაიონებს 23 აპრილიდან აცხადებს მთლიან წერა-კითხვის მცოდნეობის რაიონებად. ამის გამო თვითეულ რაიონში გამოცხადების დღეს გამართება მასიური დემონსტრაციები წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების, სკოლების, პიონერთა ორგანიზაციების და კომკავშირულ ორგანიზაციების მონაწილეობით (ადს).

ხელოვნების საქმეთა საბჭოს სხდომა

23 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ლიტერატურის და ხელოვნების სექტორში შესდგება ხელოვნების საქმეთა საბჭოს სხდომა.

ხანძარი ზუგდიდში

21 აპრილს, საღამოს 7 საათზე ცეცხლი გაუჩნდა წითელი ჯვრის კომიტეტის საწარმოს და ფქვილის საწყობს. ხანძარი ჩაქრობილ იქნა საათნახევარში. ზარალი ირკვევა.

ჟურ. „დროშა" № 6

გამოვიდა და იყიდება ჟურ. „დროშა" № 6.

სადგ. ხიდის მშენებლობა მდ. მტკვარზე.

მდ. მტკვარზე სადგურის ხიდის მშენებლობისათვის თბილისის საბჭოს ბიუჯეტით მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 2 მილ. მანეთის დახარჯვა. ხიდს უკვე ჩაეყარა საფუძველი და იგი შენდება იმ ვარაუდით, რომ მიმოსვლა აიხსნას 1933 წ. პირველ მაისამდე.

საქ. კ.პ (ბ) თბილისის კომიტეტმა აღნიშნა მშენებლობის არა თავის დროზე დაფინანსება, რაც იწვევს მუშაობის შეფერხებას და წინადადება მისცა თბილისის საბჭოს უზრუნველყოს ხიდის მშენებლობის შეუფერხებელი დაფინანსება.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს წინაშე დასმულია საკითხი, რომ მშენებლობა უზრუნველყოფილ იქნას შემდეგი რაოდენობის ცემენტითა და სატყეო მასალით: მეორე კვარტალში—400 ტონა ცემენტით და 1300 კუბიკური მეტრი სატყეო მასალით, მესამე კვარტალში—შესაბამისად 1.000 ტონით და 650 კუბ. მეტრით, მეოთხე კვარტალში — 800 ტონით და 650 კუბ. მეტრით (ადს).

მსუბუქი კავალერიის შტაბების საქალაქო თათბირი

საქ. კ. პ. (ბ) ც. ს: კ: და მ-გ ინსპექცია საქ. ახკომკავშირის ცეკას და თბილ: კომიტეტთან ერთად 17 აპრილს, საღ. 7 საათზე, საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში იწვევს მს. კავალერიის შტაბების საქალაქო თათბირს. ქალ. თბილისის ყველა მს. კავალერიის შტაბის წევრების აქტივთან ერთად და რაისაკ. კომისია - მუშგლეხინის მუშაკების დასწრება სავალდებულოა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება №

საქ. შრომის კომისარიატისა

1932 წ. აპრილის 8.

წყალთა მეურნეობის სპეციალისტების უკან დაბრუნების შესახებ

ამიერ-კავკ. შრომის სახკომისარიატის, ა.-წ. იანვრის 1-ს თარიღით „წყალთა მეურნეობის სპეციალისტების და მუშაკების უკან დაბრუნების შესახებ" გამოცემულ დადგენილებასთან შეფარდებით, საქ. შრომის სახკომისარიატი ადგენს:

1. წყალთა მეურნეობის ქვემოხსენებული სპეციალისტები მობილიზებული იქნენ საქართველოს წყალთა მეურნეობაში სამუშაოდ.
2. მობილიზებულნი ვალდებულნი არიან 2 დღის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა დაუყოვნებლივ გამოცხადდენ საქ. წყალთა მეურნეობის განკარგულებაში.
3. იმ დაწესებულებების ხელმძღვანელებს, სადაც აღნიშნული სპეციალისტები ამჟამად მუშაობენ, წინადადება ეძლევათ ისინი დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ სამსახურიდან და მიავლინონ დანიშნულებისამებრ.
4. გზის ხარჯებით, დღიურებით, ბინით და სხვ. მობილიზებულნი დაკმაყოფილებული უნდა იყვნენ თანახმად ს.ს.რ.კ. ცაკის და ს.კ.ს. 1931 წ. ნოემბრის 23-ს თარიღით გამოცემულ დადგენილებისა (იხ. ს.ს.რ.კ. კან. და გან. კრ. № 68—1931 წ. მუხ. 453).
5. საქ. წყალთა მეურნეობას წინადადება ეძლევა 3 დღის განმავლობაში წარმოადგინოს საქ. შრომის სახკომისარიატში სია იმ პირთა, რომლებიც დანიშნულებისამებრ არ გამოცხადდენ.
6. შრომის ინსპექტორებს წინადადება ეძლევათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების თავის დროზე შესრულებას დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემით.

შრომსახკომი—მ. ორჩილაძე.

შრომსახკომის კოლეგიის წევრი, კადრების სექტორის გამგე—ჭაბუკიანი.

ს ი ა

ხაჩატუროვი—ტრესტი „მეცხვარე"; გუნია,—საქ. სახელმწ. პროექტი, შუკაკიძე, გაბუნია, „ზაკგიდეს", ლევკოვიჩი, ლოსაბასიძე ახმეტ-ბეგოვი, ა.-კ. საგზატრანსი ავალიანი ვენინი ამიერ-კავკ. საგზატრანსი, ორჯონიკიძე, უგრეხელიძე, მგელაძე—საქ. საგზატრანსი, რიყამაძე.სოფ. ელექტროფიკ. [illegible] ინჟ. კალატოზიშვილი, ტექ. არგენიშვილი, ამაღლობელი (ტეხნ.), ულიანოვი (ტეხნ.), ტექ. ნებურნული, ტეხნ. კიზამა ტექ. სლინკო.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს ი ა

საქ. კ. პ. (ბ) სტალინის სახ. რაიკომის მომხსენებლებისა პირველი მაისის ჩატარების შესახებ

ტრამვაი—სტ. აკოფოვი, „სოიუზტრანს"-ი არ. წითლიძე, მაუდის ფაბრიკა—თავზავაძე, ა.-კ. ქვ: ჯარ: სკოლა—თ. კორსაველი, კალინინის სახ. ქარხანა—კერვალიძე (ცენტ საქ. კომისია), მკერავი № 1—აბრამოვი (ა.-კ. ქვეითი ჯარ: სკოლა), პურის ქარხანა—მიქელოვი (რაიკომი), თამბაქოს ფაბრიკა № 1—ბუნიატოვა (რაიკომი), თამბაქოს ფაბრიკა № 2—სილაძე (თბილ. კომ.), ხის ნაწარმი—მეტრეველი (ა.-კ: ქვეითი ჯარის სკოლა), სტამბა № 1—ფირცხალაიშვილი (რაიკომი), სტამბა № 2—ბაგაროვი (რაიკომი), „კომუნისტი"-ს სტამბა—ოჩხავა (რაიკომი), სანალე სახელოსნოები—ატოიანი (ა.-კ. ქვეითი ჯარ. სკოლა), ლუდის ქარხანა—რეხვიაშვილი (მუშ. განათ. კომიტეტი), სატრაქტორო ცენტრის სახელოსნოები—ჯანელიძე (პედსადგური), თბილკოოპკვება—მამალაძე (ა.-კ. ქვეითი ჯარ. სკოლა), მილიცია—ენუქიძე (ა.-კ. ქვეითი ჯარ. სკოლა), წყალსადენის სახელოსნოები—აფხაძე (თბილ. კომ.), ფანერის ქარხანა—ქაცარავა (თბილ. განათ. განყ.), სახვეწი სახელოსნოები—ტოგონიძე (რაიკომი), საქკოოპტრანსი—ბარნაზოვი („სოიუზტრანს"-ი), კარიერი—ტრაპაიძე (მუშ. უნივერსიტეტი), მეეზოვეები—ხაჩატუროვი (რაიკომი), სახკინმრეწვი—შავერდოვა (ა.-კ. კომ. უნივერ.), მელითონეთა ქარხკომი—რამენდიკი (ა.-კ. კომუნივერსიტეტი), საავთიაქო სამმართველო—საჯაია, განათლების მუშაკთა კავშირი—ორლოვი (ა.-კ. ქვეითი ჯარ. სკოლა), გემო-კავების მუშათა1-2 ჯგუფკომი—კაჭარავა (რაისაბჭო), საბაზისო საწყობი—სიკინჭილაშვილი (საავთიაქო სამმართველო), წითელი ჯვარი—შ. ლეჟავა, სახვაჭრობა და კოოპერაცია—ჯანელიძე (ეკონ. ინსტიტუტი), მედმუშაკი—სამავლიშვილი, პედმუშაკი—კაჭახიძე, ინდუსტრ. ტექნიკუმი—მაჩაიძე (ეკონომ. ინსტიტუტი). პ. მელაძის სახელობის ზოოტექნიკუმი—კუნკიშვილი. მთავარი საავადმყოფო—კამალოვი, საღმშ. სასწავლებელი—მამალაძე, ქიმკომბინატი—რუხაძე.

უჯრედების ყველა მდივნებს წინადადება ეძლევა თავის დროზე შეუთანხმდენ მომხსენებლებს.

დანარჩენი უჯრედები თვითონ გამოჰყოფენ მომხსენებლებს ადგილებზე რაიკომის აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებასთან შეთანხმებით.

საქ. კომპ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ამხ. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მიერ 27, 28 და 29 აპრილს მოხსენებების ჩასატარებლად პირველ მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, მომხსენებლებად გამოყოფილი არიან შემდეგი ამხანაგები:

დვალი (საქ. საგეგმო კომისია)—ავეჯეულობის ფაბრიკა; ფედოტოვი (ამიერ-კავკ. სახკომსაბჭო)—„რემმაშტრესტ"-ი; იაგნეტინსკი (ამიერ-კავკ. მუშგლეხინი)—სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საალმშენებლო ბიურო; გიორგაძე (საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი)—კავშირგაბმულობა; ერქომაიშვილი (სახ. საგეგმო კომისია)—ლიმონათის ქარხანა; გრიგორიანი (ამიერ-კავკ. საგეგმო კომისია)—აგურის ქარხანა; ინაშვილი (მშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობა)—ხე-ტყის სახერხი ქარხანა; ცხაკაია („მუშა"-ს რედაქცია)—ლიტოგრაფია; ანთიძე (საქ. პროფსაბჭო)—აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა; გრიგორიანი („ტიფლისკი რაბოჩი")—„ზარია ვოსტოკა"; პინჭარაძე (პროკურატურა)—1-ლი სტამბა; კანდელაკი (ამიერ-კავკ. ს.მ. უსძ)—ზუსტ ხელსაწყოების სახელოსნო; განატიუკი (ამიერ-კავკ. მომარაგების სახკომისარიატი)—მუსიკალური ინსტიტუტი; ნალბანდოვი („ზარია ვოსტოკა")—მტვირთავები; გუგუშვილი (საქ. კ.პ. (ბ) თბ. კ-ი)—თელასი; ზარიფიანი (ამიერ-კავკ. საგეგმო კომისია)—საბინაო-კომუნალური მშენებლობა; ნოვიკოვი—ა.-კ. კომუნალურ მეურნეობის სახკომისარიატი; მატინიანი (აბრ. საქ. ფაბრიკა)—ფოლაქების ფაბრიკა; ივანოვი (საკავშირო ელექტრო-გაერთიანება)—საკავშირო ელექტროგაერთიანების სახელოსნო; სოკოლოვსკი (ა.-კ. სახკომსაბჭო)—მე-2 სტამბა; რუხაძე (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა)—იქვე; მინდიაშვილი—პოლიგრაფტრესტის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა.

— სტამბა „კომუნისტი"-ს პარტუჯრედის ბიურო წინადადებას აძლევს ამ უჯრედში გაერთიანებულ პარტკომკავშირულ ამხანაგებს გამოცხადდნენ 23 აპრილს, 4 საათზე უჯრედის კრებაზე.

— ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ-დასახ. ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომის საორგ. განყ. ამხ. შელიასთან 23 აპრილს, დღის 12 საათზე. ამხ. გ. ხუციშვილი, დ. დუდუჩავა, ს. აბულაძე, რ. მერკვილაძე, მ. ზაქარეიშვილი. ი. შოვნაძე, გ. ახალაძე, ა. გიგოშვილი. და კულაევი (მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტი).

— 23 აპრილს, საღამოს 7 საათზე, შესდგება საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტის უჯრედის კრება კომკავშირთან ერთად. დამუშავდება სტალინის სტატია „წერილი კავკასიიდან".

— 23 აპრილს, საღ. 7 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში შესდგება კომუჯრედების ღია კრება კომკავშირთან ერთად.

— 23 აპრილს, საღამოს 8 საათზე პედ ინსტიტუტის სტუდენტთა კლუბში შესდგება პარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება უპარტიოებთან ერთად. დამუშავდება ამხ. სტალინის სტატია „წერილი კავკასიიდან".

სახელმწ. ოპერა
23 აპრ. 17 აბ. 10 წ. დამსახურებული მსახ. ი. კიპარენკო-დამანსკის მონაწილეობით **კ ა რ მ ე ნ ი**
24 აპრ. 10 აბ 10 წარ. ვ. მ. ნორცოვის მონაწილეობით **სევილიელი დალაქი**
25 აპრ. 4 აბ. 10 წ ლენ. სახ. ოპ. დ ბალეტის თეატრის პრემიერების ტ. ვეჩესლოვას და ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით **დონ-კიხოტი**
26 აპრილს 1 აბონ. 13 წარ. პრემიერა „დონ-პასკვალე".
წარმოდგენის დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე. მესამე ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია. აბონენტები, რომლებსაც აბონემენტის მე-9 შესატანი არ გადაუხდიათ, ჰკარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას. ნ. 722

რუსთაველ. თეატ. ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით სეზონი 1931—32 წ.
23 აპრ. 2 აბ. 9 წ. **ღვარძლი**
ნ. 724 დასაწყისი 8 საათზე. დირექცია.

სახ. დრამა სსსრ. სახ. არტ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
23 აპრილს აბონემენტ. გ. „ქაქალ გულში" ნ. 723.
24 აპრილს დილით 12 საათ. წით. არმიელების. **უყვარყვარე თუთაბერი**
საღამოს 10 აბ. 8 წარ. **ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ** და დარჩენილ აბონემენტებ. ვისაც არ უნახ.

ხმოვანი კინო **ოქტომბერი** (ყ.-აპოლო) სეან. 4, 6-30. 8-30, 10-30.
კინო დამკვრელი (ყოფ. პალასი) სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30.
კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30.
დღის კინო **ს პ ა რ ტ ა კ ი** სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.
საღამოს კინო **ს პ ა რ ტ ა კ ი** სეან. დას. 6. 7-30, 9. 10-30.
რ ლიუქსემბურ. სახ (ყოფ. მინიონი) სეან. დას. 6-30, 8. 9-30, 11.
საზღვარგარეთელი მუნჯი მხატ. ფილმი **მკრთალი მთის ტყვეები** მალე „ორი შეხვედრა"
ზოროს შვილი დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
ისტორიული მხატვრული სურათი **ჯ ა ნ ყ ი** მე-2 სერია რეჟ. ა. წუწუნავა. ოპერ. ა. დიღმელოვი
მხატვრული ფილმი **ლეონ კუტიურიე**
მხატვრული ისტორიული სურათი **დიადი საქმის კავშირი**
ამერიკული მხატვრული სურათი **ხმა ზაიკამიდე** რეჟ. სესილ-დე-მილ

სახ. ცირკი
სეზონის დახურვა 25 აპრილს
ცნობილ სპორტსმენის რაშიდ იუსუბოვის გამოსვლის მხოლოდ 3 დღე აგრეთვე ცირკის მთელი პროგრამა.
დღეს და ხვალ წარმოდგენა დღისით დასაწყისი დღის 2 საათზე. ნ 725

ექიმი **მ. ღ. ზანდუკელი** შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტროსინათლის სამკურ. კაბინეთი. პატრიაშვილის ქ. (ყ. უდელ.) 79 № 11. იღებს საღ.7 —8. ტელ 13—1
ექიმი **ა. დ. ელენტი** შინაგანი სნეულებანი. სპეც კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე. ოთხშაბათობით უფასოდ. წყნეთის ქ. № 8 0—7
ექიმი **ბ. ნ. ონანოვი** სიფილ., ვენერიული და კანის სნეულებანი. აქეხობრ. სისუსტ მკურნალობა. ავადმყოფთა მიღ. დილ. 6—11 ს. საღ. 5-8 ს. ინოშვილის ქ. (ყ. ალექსანდროვის) № 5.

საქავეჯის დარგობრივი გაერთიანების ცენტრალურ აპარატის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით იუწყებიან ჩვენი საქმეთა მმართველის ამხ. ალექსი გაგნიძის შვილის **ნ ა თ ე ლ ა ს** უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 24 აპრილს, მცხეთაში. 3106

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ალექსი, მარგალიტა, ძმა გიკი, ბაბუა გიორგი, დიდედა სონა გაგნიძეები, დეიდები: ვარა, მანია იუწყებიან ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ **ნ ა თ ე ლ ა ს** გარდაცვალებას. დაკრძალვა მცხეთაში. 24 აპრილს, 5 საათზე. 3076

ლაილაშის კოლახსკოლის მასწავლებლები: კოლოძე, ბენჯელიანი. ბენიძე, მამარდაშვილი და ჩიქოვანისა მწუხარებას გამოსთქვამენ ლაილაშის ოთხწლედის მასწავლებელ და კოლახსკოლის უჯრედის მდივან **მინადორა ჩაჩხიანის** დაკარგვის გამო. 3107

ლაილაშის კოლახსკოლის მოწაფეები და ამავე სკოლის კომკავშირის უჯრედი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს უჯრედის მდივნის და დაუღალავი მასწავლებლის **მინადორა ჩაჩხიანის** უდროოდ გარდაცვალების გამო. 3017

ლაილაშის ოთხწლედის მასწავლებლები: ბიქტორ კუბუსიძე, სერგო და შურა კაჭკაჭაშვილები, ფედოსი გოლოძე, იუნო ჩაჩხიანი, თამარა საგანელიძე, თამარა თვალაძე და ელია მეგრელიშვილი იუწყებიან **მინადორა აკოფის-ას. ჩაჩხიანის** უდროოდ დაკარგვას. 3107

ქმარი გრიშა პატარა მერიკოთი, მამამთილი ალექსი, დედამთილი ვასასი, მაზლები: კოწია, მიშა, რძალი ოლიკო პატარა ნელით. მულები: ოლღა, ელენე, ნატაშა იუწყებიან **მავრა მ ა ღ რ ა ძ ი ს** გარდაცვალებას. დასაფლავება ს. ლელვანში, 23 აპრილს. 3107

დამწუხრებული ქმარი გრიგოლი შვილი რეზიკოთი, დედა ლიზა, ძმა ხუტა, დები: ძაძუ ლიდა თამარა, ნინა იუწყებიან, რომ **ქსენია გუგუშვილის** სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება ფოთში 24 აპრილს, ნახუტურის სასაფლაოზე. 3093

სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამზღვევ სალაროს მონაწილე ყველა შინამრეწველ **ერთეულთა საყურადღებოდ** კვირას, 24 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში (კომუნალური ქ. № 9) დანიშნულია **ერთეულ შინამრეწველთა საერთო კრება** სხვა და სხვა კითხვების განსახილველად. დასწრება ყველა ერთეულ წევრთათვის სავალდებულოა. სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამზღვევ სალაროს გამგეობის პრეზიდიუმი. 3101

გულდაწყვეტილნი მშობლები ელენე და გოგი. ბაბო ნატალია. ბაბუა იაკინთე, რძალი მაშო, ბიძაშვილი ნატაშა კასრაძეები იუწყებიან დაუვიწყარ და საყვარელ **შალიკო კ ა ხ რ ა ძ ი ს** უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 3 ს. კურსანტების ქ. № 6 კუკიის სასაფლაოზე 3074

გულდამწვარი ბებია მართა, ბიძა იაშა, ქალუა ელენე არაბაშვილები, დეიდა ნინა ქმრით სიკო, შვილი ეთერი ფიჩხნარაშვილები იუწყებიან მათი უსაყვარლესი **შალიკო კ ა ხ რ ა ძ ი ს** უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 24 აპრილს. 3074

დამწუხრებული მამიდა პელაგია და ნიკო აბულაძეები, ვარა და ნიკო წიქარიძეები აუწყებენ საზოგადოებას დედის ერთა **შალიკო კ ა ხ რ ა ძ ი ს** უდროოდ გარდაცვალებას. 3088

სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თბილისის სატრანსპორტო განყოფილების თანამშრომელნი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე განყოფილების უფროსს ამხ ყარამან მაღრაძის დედის **ე ლ ი ს ა ბ ე დ ი ს** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა სოფ. მარელისში 23 აპრილს 3077

გულაწყვეტილნი ცოლისდა ქვინტილა ქმრით პავლე შვილებით: ელეონორა, თეიმურაზი ბაბუნაშვილები, გლაფირა, იოსები სვანაძეები იუწყებიან მათთვის საყვარელი სიძის **ვასილ დავითის-ძე ნასარიძის** უდროოდ გარდაცვალებას. 3075

მეუღლე დესპინე, შვილები: ნიკოლოზ, თამარ, შუშანა, რძალი ზინა შვილით კუკურათი, სიძე გრიშა დავითაშვილი იუწყებიან, რომ 24 აპრილს 5 ს. ქუთაისში, (ქომაში) დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **გიორგი იოსების-ძე ჩაჩანიძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 3073

გაუბედურებული დედა ელენე. ძმა ლევანი, ბებიები: მაკა, კელასი, ბიძანები: ესე, პავლე შვილებით იუწყებიან მათი უსაყვარლესი **ლეილა სერგოს ასული რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს** გარდაცვალებას დაკრძალვა 24 აპრილს 5 საათზე ბათომი, ასათიანის ქ. 35 3098

ცხარე ცრემლებით დავსტირით მეგობრები: თამარა უგრეხელიძე, ლოლა ცაგარეიშვილი, ქეთო თავართქილაძე, თამარა ასათიანი, მადონა პყონია, ელენე გობრონიძე, ლილი სადრაძე სიცოცხლით სავსე და უდროოდ დაკარგულ **ლეილა რამიშვილს** ნ. 726

გულდამწვარი ბიძაშვილები: ბათლომე, მოსე ცოლშვილით, რძალი ეკატერინე შვილით სარიშვილები, ლიზა, სიმონ გიორგობიანი შვილებით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი **ვალოდია კონსტანტინეს-ძე ს ა რ ი შ ვ ი ლ ი ს** ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება სუფსაში, 24 აპრილს 3080

გიგუშა და ოთარი დგებუაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარი და საყვარელ პირველის დედის და მეორეს აღმზრდელი ბებიას **პელაგი ბესარიონის ასულ დ გ ე ბ უ ა ძ ი ს** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 აპრილს 5 ს. ლენინის ქუჩა 31 ვერის სასაფლაოზე 3089

სამუდამოთ გულმოკლული მშობლები დარო, რაფიელ, დები: ქეთო, ატია, ძმა შალვა ცინცაძეები იუწყებიან, რომ 24 აპრილს 5 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი სიცოცხლით სავსე **გრიშა ც ი ნ ც ა ძ ი ს** ხსოვნის აღსანიშნავად. 3072

და ეკატერინე ნაუმოვი შვილებით: ნადია, ნიურა, ვერა, მარო სიძეებით ვ. ბორისენკო, დათიკო ხარაბაძე, ვ. ბუდზიაკი და შვილისშვილი კლარა იუწყებიან, რომ 24 აპრილს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ **იულო ზაალის-ძე ცინცაძის** 3100

დამწუხრებული დები: სოფიო, სალომე. სიძეები: ამბაკო ხუხუნაშვილი და სიმონ იმნაიშვილი შვილებით იუწყებიან, რომ 24 აპრილს 5 საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ **იულონ ზაალის-ძე ცინცაძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 3084

უახლოესი მეგობრები: გიორგი შეწირული, სარდიონ ჯაიბუტი და მიშა გელოვანი იუწყებიან, რომ 24 აპრილს 5 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **ამხ. იულო ცინცაძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 3090

უახლოესი მეგობრები: მ. მამარდაშვილი, კ. ელიაშვილი, ა. ძოწენიძე, ვ. ჯაფარიძე, ვ. მჭედლობლიშვილი აუწყებენ ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ გარდაიცვალა ალექსანდრე ხიმშიაშვილის დედა **ბ ა რ ბ ა ლ ე** ჩამოსვენება კოჯორიდან და დაკრძალვა 24 აპრილა, 6 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზედ. 3103

დამწუხრებულნი: და ნუშო ალნიაშვილი, ძმისწული დარია მაჩაბლისა ქმარ-შვილით მიხეილით და ვანიკოთი, ნათლული კატო იუწყებიან ძვირფასს. **ნინო დიმიტრის ასული მირიანაშვილის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, საგურამოს ქ. № 13 3092

დამწუხრებული მეგობრები: დათიკო კიკნაველიძე მეუღლით თამარით და ჟორა გომართელი მეუღლით ელენეთი გამოვსთქვამთ ღრმა მწუხარებას ძვირფას მეგობრის **ვანიჩკა მარგველაშვილის** ტრაგიკულათ დაღუპვის გამო დაკრძალვა 23 აპრილს სოფ. ოფშკვითში 3096

კაპიტონ, ლუბა კალანდაძე, ზაქრო, სოფიო შენგელიები აცნობებენ ამხანაგ-მეგობრებს, რომ ზუგდიდში 19 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა საქსახმშ ნის თანამშრომელი საყვარელი **ვანო მარგველაშვილი** დაკრძალვა სოფ. ოფშკვითში, 23 აპრილს 3096

საქართველოს 1-ლი შაქრის ქარხნის მშენებლობის („შაქარმშენი"-ს) მუშათა კომიტეტი. პარტუჯრედი, ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურენი გამოსთქვამენ მწუხარებას „შაქარმშენი"-ს თანამშრომლის **ივანე ანტონის ძე მარგველაშვილის** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო ..91

გულდათუთქულნი მშობლები: დედა ოლია სინაურიძე, მამა სანდალა, და გულსუნდა იუწყებიან, რომ კვირას, 24 აპრილს, 6 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარი შვილის საყვარელი **ბედი ბაჩეჩილაძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 3098

დამწუხრებულნი დეიდები: ელენე, [illegible] ნესტორ გურული, პაშა სიძით სერგო ძიქელაძე, თამარა, შალიკო იოსელიანები იუწყებიან, რომ 24 აპრილს, ქ. ფოთის ნახუტურუს სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **ბიჭიკო და მიშა ჟავჟანიძეების** 3094

ყველა ორგანიზაციებს. ნაცნობებს და მეგობრებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ჩვენს მწუხარებაში **მილოჩკა აპრიამოვას** უდროოდ დაკარგვის გამო. უნუგეშო მამა და დედა ლევან და მარიამ აპრიამოვები ვუცხადებთ უღრმეს მადლობას. 3099

დამწუხრებული მეუღლე მარიამი, შვილები: კოლა და ანტონი იუწყებიან, რომ 24 აპრილს, 5 საათზე. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი **ემანუილ კარლას-ძე ლეზრანის** ხსოვნის აღსანიშნავად. 3097

მშობლები: ოლღა, ნიკოლოზ მოზდოკელი შვილით ვახტანგით იუწყებიან, რომ 24 აპრილს 6 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ, ძვირფას **ემა და ირა მოზდოკელის** ხსოვნის აღსანიშნავად. 3078

უახლოესი მეგობრები: მარო ჯავახიშვილი, ციბა ჯაველიძე და ვერა პყონია აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ მათი გულითადი მეგობრის შალიკო და ჟენია მახარაძის საყვარელ შვილიკოს, პაწია **ვენო მ ა ხ ა რ ა ძ ი ს** გარდაცვალებას. 3086

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი მშობლები: შალიკო და ჟენია, ძმა ნოდარი, ბიძები: ვასილ, მიშა და საშა მახარაძეები აუწყებენ ნათესავებს პატარა **ვ ე ნ ო ს** გარდაცვალებას. გამოსვენება მალაროს შეს. № 1, დღეს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 308·

დამწუხრებული შვილები: გიგო, ვიქტორი, ლევანი, ტიტუზია, მარიამი, ნინა, ცუცა, ბაბილინა იუწყებიან, რომ 24 მაისს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ დედის **მართა ჯაფარიძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 3104

სამუდამოთ გაუბედურებული ცოლი ანეტა. შვილი დარიკო [illegible] ლუბა ჯაფარიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი საყვარელი **ცუცა (ალექსანდრე) ჩოჩიევის** ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 7 საათზე, კლარა ცეტკინის, 52 3081

დამწუხრებულნი შვილიშვილები: შოთა და ლენა დავითაიები იუწყებიან საყვარელ აღმზრდელის ბაბუა **კოსტა დ ა ვ ი თ ა ი ა ს** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 აპრილს, სოფ. ონტოფოში. 3099

შვილები: ვარლამი, ვალერი და ტარასი ცოლშვილით იუწყებიან, რომ 24 აპრილს ქ. ფოთში 5 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი დედის **მართა სიმონის ას. შავგულიძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 3079

დამწუხრებული მანუილ ლანდია და შვილი მიტუშა (დიმიტრი) აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელი სიძის **ცუცა (ალექსანდრე) ჩოჩიევის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 7 საათზე, კლარა ცეტკინის ქ. 52 3082

გულდამწვარნი გამზრდელი ბიძაშვილი სამუელ შვილებით: ბიჭიკო, ლოლა. ჟორჟიკა სარიშვილები, კუკუნია (დარეჯან) სარიშვილი-ჯიჯიეიშვილი, სიძე კაკო ჯიჯიეიშვილი იუწყებიან მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი **ვალოდია კონსტ.-ძე სარიშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. 3080

დამწუხრებული მეუღლე მარიამი, შვილები: ლეონიდე, ვასილი, გრიგოლი და ევგენია იუწყებიან, რომ სოფ. ქვიტირში გარდაიცვალა პროვიზორი **ვასილი დავითის-ძე ნასარიძე** დაკრძალვა 24 აპრილს 4 საათზე. 3087

დამწუხრებულნი: ძმა ექიმი გრიგოლ ნასარიძე მეუღლით, დები ევგენია, იულია, ოლღა მეუღლეებით, პოლიკარპე ფანჩულიძე შვილებით იუწყებიან პროვიზორი **ვასილ დავითის-ძე ნასარიძის** გარდაცვალებას. 3087

ხუტა კალანდარიშვილი, საშა აბესაძე, შურა წულეისკირი ქმარშვილით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი დეიდა **პელაგია ბესარიონის ას. დგებუაძე** პანაშვიდი დღეს, 7 ს. 3089

დეიდაშვილები ბაჩუა მჭედლიშვილისა შვილებით ტატუშა ოდიშარიასი ქმარშვილით. ალიოშა და მურაზები ჩიჩუები ცოლშვილით იუწყებიან საყვარელ დეიდა **პელაგია დ გ ე ბ უ ა ძ ი ს** გარდაცვალებას. 3089

დამწუხრებულნი შვილები: ალექსანდრე, გრიგოლი, რძლები: თამარა, ოლია, შვილიშვილები: კოტიკო და დოდო იუწყებიან ძვირფასი და დაუვიწყარი **ბარბალე პეტრეს ას. ხიმშიაშვილის** გარდაცვალებას. ჩამოსვენება კოჯორიდან და დასაფლავება 24 აპრილს, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3102 2—1

დამწუხრებული დები: თამარა წულუკიძე მეუღლე [illegible] [illegible] წულუკიძე მეუღლე კოლა [illegible] იუწყებიან რომ საყვარელი **გოგუცა წულუკიძე-ართმელაძის** სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ვერის სასაფლაოზე 24 აპრილს, 6 საათზე. 3105

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 1038